



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

**სატელევიზიო მედიის მიერ საქართველოს
საარჩევნო პროცესებზე უცხოური გავლენის აღქმა**

სატელევიზიო მედიის თემატური მონიტორინგის
შემაჯამებელი ანგარიში

3 აგვისტო - 24 სექტემბერი, 2020



კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე უცხოური გავლენების აღქმა სატელევიზიო მედიაში: თემატური მონიტორინგის ანგარიში.....	3
მოკლე მიმოხილვა.....	3
შესავალი.....	5
ძირითადი მიგნებები.....	6
თემატური მედია მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით	11
საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი	11
იმედი	15
რუსთავი 2	19
მთავარი არხი.....	22
ტვ პირველი.....	27
დასკვნა.....	30
დანართი 1: მეთოდოლოგია	34
თემატური მონიტორინგის სუბიექტების სია	36
დანართი 2: ცხრილები	38

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე უცხოური გავლენების აღქმა სატელევიზიო მედიაში: თემატური მონიტორინგის ანგარიში

მოკლე მიმოხილვა

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქების კვლევა მედიაში“, CRRC-საქართველომ ხუთი სატელევიზიო არხის (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „იმედი“, „რუსთავი 2“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“) სადამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების თემატური მონიტორინგი განახორციელა. თემატური მონიტორინგის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორ აღიქვამს სატელევიზიო მედია უცხოურ გავლენებს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე; დაკვირვება, თუ რომელი უცხოელი აქტორები შუქდებიან ყველაზე ხშირად და როგორია მათი გაშუქების ტიპი და ხასიათი.

თემატური მონიტორინგი 3 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მიმდინარეობდა, რაც უცხოელი აქტორების გაშუქების მხრივ მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს მოიცავდა: აგვისტოს ომის გახსენება, რუსული ოკუპაცია, ოფიციალური მოსკოვის გზავნილები ურთიერთობების აღდგენაზე, შარლ მიშელის დოკუმენტი, ევროკავშირის დახმარებაზე/სესხზე უარის თქმა, აშშ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო სწავლების დასრულება, ბელარუსსა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების შეთანხმების ძალაში შესვლა, პრემიერმინისტრის ვიზიტი უკრაინაში, დარბაზვილის გამოსვლა გაეროს ასამბლეაზე, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტი საქართველოში, ამერიკელი კონგრესმენების ჩამოსვლა, ავღანეთის კრიზისი და მოქალაქეების ევაკუაცია, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მასალების გასაჯაროება, რაც დასავლეთის დიპლომატების მოსმენებსაც მოიცავდა, საერთაშორისო ორგანიზაციების წინასაარჩევნო კვლევები, არჩევნების სადამკვირვებლო მისიების საქმიანობა და განცხადებები, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება და დაკავება.

თემატური მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთ, რომ 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც წინასაარჩევნო გარემოს წარმართავდა ორი პოლუსი - დასავლეთი და რუსეთი, რომელიც გამოყენებული იყო პოლიტიკური იარაღების მისაწებებლად, პროგრესულობის ხაზგასასმელად ან დისკრედიტაციისთვის. ევროკავშირი, აშშ და სხვა დასავლელი აქტორები ყველა არხზე მნიშვნელოვან და ავტორიტეტულ ფიგურებად იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო რუსეთთან კავშირი და მასთან ასოცირება პოლიტიკური ძალებისთვის დისკრედიტაციას ნიშნავდა. რუსეთი შუქდებოდა, როგორც „მტერი“, „ოკუპანტი“ და „აგრესორი“. თუმცა, არხები საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით ან მმართველი გუნდის რუსეთთან კავშირებზე საუბრობდნენ, ან - ოპოზიციის.

ამ მხრივ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი უცხოელი აქტორების გაშუქების წრილში სხვა არხებთან შედარებით უფრო დაბალანსებული და ნეიტრალური გაშუქებით გამოირჩეოდა, „იმედი“ და, შედარებით ნაკლები ინტენსივობით, „რუსთავი 2“ მმართველი გუნდისა და ხელისუფლების მიმართ ამჟღავნებდნენ სიმპათიას, ხოლო „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ - ოპოზიციის მიმართ.

ამ მხრივ საინტერესოა ერთი და იგივე თემების განსხვავებული აქცენტებით გაშუქების შემთხვევები. მაგალითად, საქართველოსა და ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ძალაში შესვლა, რომელიც „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან არადემოკრატიულ, უკან გადადგმულ ნაბიჯად და რუსეთთან დაახლოებად შეფასდა, „იმედი“ და „რუსთავი 2“ კი ყურადღებას იმაზე ამახვილებდნენ, რომ მსგავსი შეთანხმება საქართველოსაც და ბელარუსსაც ბევრ სხვა, მათ შორის ევროპულ ქვეყანასთან ჰქონდა. ასევე, ავღანეთიდან მოქალაქეებისა და ქართველების ევაკუაციის საკითხის გაშუქებაც. თუკი „იმედი“ და „რუსთავი 2“ საქართველოს საგარეო უწყების საქმიანობას წარმატებულად აშუქებდნენ, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ავღანეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებს ხელისუფლება ვერ ეხმარებოდა.

რუსეთთან კავშირებსა და რუსეთის გავლენებზე საუბარი სიუჟეტებში გარკვეულწილად წინასაარჩევნო პერიოდში ამ უცხოელი აქტორის ჩარევაზე მიანიშნებდა. ამ მხრივ საყურადღებო იყო ოპოზიციურად განწყობილი არხების სიუჟეტები რუსი აგენტებისა და პროპაგანდისტების საქართველოში ვიზიტების შესახებ, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდაზე, „პატრიოტთა ალიანსის“ წერილზე რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მისამართით, რაც აძლიერებდა ეჭვებს, რომ არჩევნებში მონაწილე ამ პარტიას რუსეთთან გარკვეული კავშირი ჰქონდა. საკუთარ კომენტარებსა და განცხადებებში საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები და არჩევნების დამკვირვებლები ახსენებდნენ წინასაარჩევნოდ რუსული პროპაგანდის საფრთხეებს.

რაც შეეხება სხვა უცხოელ აქტორებს, წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გახშირდა ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებები და მოწოდებები, რაც ხელისუფლების მხრიდან ჩარევად აღიქმებოდა და ამისი გაშუქებაც არხების სარედაქციო მიკერძოებულობის შესაბამისად ხდებოდა.

შესავალი

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქების კვლევა მედიაში“, CRRC-საქართველომ სატელევიზიო არხების თემატური მონიტორინგი განახორციელა მონიტორინგი მოიცავს სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ხუთ სატელევიზიო არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“. თემატური მონიტორინგის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორ აღიქვამს სატელევიზიო მედია უცხოურ გავლენებს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე; დაკვირვება, თუ რომელი უცხოელი აქტორები შუქდებიან ყველაზე ხშირად და როგორია მათი გაშუქების ტიპი და ხასიათი.

ამ მიზნის მისაღწევად თემატური მონიტორინგი კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს იყენებდა და ითვლიდა უცხოელი აქტორებისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ წარმოჩენასა თუ ირიბ საუბარს, ასევე გაშუქების ტონს; და აკვირდებოდა ახალ ამბებში უცხოელი აქტორების გაშუქების მიზანს, რამდენად ხდებოდა უცხოელი აქტორების მიერ სიუჟეტებში ქართული პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების მხარდაჭერა ან დისკრედიტაცია. მონიტორინგი მოიცავდა სიუჟეტებს არჩევნებისა და პოლიტიკის თემაზე, ასევე, ნებისმიერ სხვა თემაზე მომზადებულ სიუჟეტს, სადაც საარჩევნო სუბიექტები და ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ გაშუქებული. უცხოელ აქტორში ნაგულისხმევი იყო ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ რომელიმე ქვეყანას ან ორგანიზაციას წარმოადგენდა იმის მიუხედავად, ოფიციალური პირი იყო თუ უბრალო მოქალაქე.

2021 წლის მუნიციპალური არჩევნები ორ ტურად წარიმართა. პირველი ტური 2 ოქტომბერს ჩატარდა, ხოლო მეორე - 30 ოქტომბერს. თემატური მონიტორინგი არჩევნების დღემდე დაახლოებით ორი თვით ადრე, აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დაიწყო, 3 აგვისტოს და მეორე ტურის დღის ჩათვლით, 30 ოქტომბრამდე გაგრძელდა.

2021 წლის აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე პერიოდში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რაშიც უცხოელი აქტორები ჩართულები იყვნენ ან მას გამოეხმაურნენ. ამ პერიოდს დაემთხვა გარკვეული თარიღები და ღონისძიებები, რომელთან დაკავშირებითაც სატელევიზიო არხებმა უცხოელი აქტორები გააშუქეს. ეს მოვლენები და თემები იყო: აგვისტოს ომის გახსენება, რუსული ოკუპაცია, ოფიციალური მოსკოვის გზავნილები ურთიერთობების აღდგენაზე, შარლ მიშელის დოკუმენტი, ევროკავშირის დახმარებაზე/სესხზე უარის თქმა, აშშ-საქართველოს ორმხრივი სამხედრო სწავლების დასრულება, ბელარუსსა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების შეთანხმების ძალაში შესვლა, პრემიერმინისტრის ვიზიტი უკრაინაში, ღარიბაშვილის გამოსვლა გაეროს ასამბლეაზე, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტი საქართველოში, ამერიკელი კონგრესმენების ჩამოსვლა, ავღანეთის კრიზისი და მოქალაქეების ევაკუაცია, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მასალების გასაჯაროება, რაც დასავლეთის დიპლომატების მოსმენებსაც მოიცავდა, საერთაშორისო ორგანიზაციების წინასაარჩევნო კვლევები, არჩევნების სადამკვირვებლო მისიების საქმიანობა და განცხადებები, ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებები და შეფასებები. ოქტომბრის

პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას, მის დაკავებასა და ამ ფაქტის შეფასებებსა თუ მოწოდებებს მიექცა.

ანგარიში თემატური მონიტორინგის ძირითადი მიგნებებით იწყება და შემდეგ წარმოადგენს შედეგებს თითოეული არხისთვის ცალ-ცალკე. დანართში მოცემულია მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა (დანართი 1) და ცხრილები (დანართი 2).


ძირითადი მიგნებები

თემატური მონიტორინგის პერიოდში (3 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით) ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორები იყვნენ: ევროკავშირი, აშშ, რუსეთი და უკრაინა, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მხოლოდ „მთავარ არხზე“ ვერ მოხვდა. „მთავარი არხი“ იმითაც განსხვავდებოდა, რომ დანარჩენი ოთხი არხისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი დრო რუსეთის გაშუქებას დაუთმო. უცხოელი აქტორების გაშუქების ტონის მხრივ არხებზე მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა. ევროკავშირი (იხ. დიაგრამა 1) და აშშ (იხ. დიაგრამა 2) უმეტესად ნეიტრალურად და გაშუქების შედარებით მცირე ნაწილის განმავლობაში დადებითი ტონით გაშუქდა (აშშ-ის შემთხვევაში დადებითი გაშუქების წილი მეტი იყო), რუსეთის გაშუქების უმრავლესი წილი კი, ყველა არხზე, უარყოფითი ტონით შეფასდა (იხ. დიაგრამა 3).

საინტერესო იყო უკრაინის მოხვედრა ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორების პირველ ოთხეულში, რაც უმეტესად მიხეილ სააკაშვილს უკავშირდებოდა. რიგ სიუჟეტებში იგი უკრაინის სახელმწიფო მოხელედ იყო წარმოდგენილი, ხოლო სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლისა და მისი დაკავების შემდეგ გახშირდა სიუჟეტები, სადაც უკრაინის ოფიციალური პირები ამასთან დაკავშირებით განცხადებებს აკეთებდნენ. უკრაინა ასევე გაშუქებული იყო ერთობლივი სამხედრო წვრთნების, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტის, პრემიერმინისტრის უკრაინაში ვიზიტის თემებთან კავშირშიც. უკრაინის შემთხვევაში ყველა არხზე გაშუქების ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. შედარებით განსხვავებული იყო „მთავარი არხის“ შედეგები, სადაც უკრაინის გაშუქების მცირე წილი (4%) უარყოფითი ტონით შეფასდა და ეს, ერთის მხრივ, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ სიუჟეტში უკრაინისა და მისი მაშინდელი პრეზიდენტის გახსენებას უკავშირდებოდა, ხოლო, მეორეს მხრივ, სიუჟეტს უკრაინელი ჟურნალისტის ქვეყანაში არშემოშვებაზე.

დიაგრამა 1: ევროკავშირისთვის დათმობილი დრო გაშუქების ტონის მიხედვით ყველა არხზე


ევროკავშირისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)



ევროკავშირს, რომელიც აერთიანებდა როგორც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას, ასევე ევროპარლამენტარებს, ექსპერტებსა და ევროპას ზოგადად, ყველა არხი საქართველოსთვის მნიშვნელოვან, ავტორიტეტულ და პატივსაცემ პარტნიორად წარმოაჩენდა. თუმცა, სატელევიზიო არხებისა და მათი სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად, განსხვავდებოდა სიუჟეტებში ევროკავშირის წარმოჩენის მიზანი. ევროკავშირთან კარგი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხაზგასმა, ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ გამოხატული მხარდაჭერის დაფიქსირება ან პირიქით, საფრთხე ამპარტნიორობის დაკარგვისა, სწორედ ის აქცენტები იყო, რაშიც არხების პოლიტიკური მიკერძოება გამოიხატებოდა. თუკი „იმედი“ და შედარებით ნაკლები ინტენსივობით „რუსთავი 2“ ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ საქართველოს მმართველი ხელისუფლება ევროკავშირსა და დასავლეთში აღიარებული და პატივცემული პარტნიორია, რომელსაც ღონისძიებებზეც იწვევენ და მხარდაჭერასაც უცხადებენ, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ იმაზე იყვნენ მომართულნი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ანტიდასავლურობა გამოეაშკარაებინათ. ამ მიმართულებების შესაბამისად სიუჟეტებში ან ისეთი რესპონდენტები იყვნენ წარმოდგენილნი, ვინც შესაბამის მოსაზრებებს ავითარებდა, ან ერთი და იგივე პირების განცხადებების სხვადასხვა ნაწილზე კეთდებოდა აქცენტი ან უკეთდებოდა ინტერპრეტაცია ჟურნალისტების მიერ. „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ შემთხვევაში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის დაზიანების საფრთხის გაშუქებას თან ახლდა პათოსი, რომ არჩევნებზე საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა გადაწყვეტილიყო.

დიაგრამა 2: აშშ-ისტვის დათმობილი დრო გაშუქების ტონის მიხედვით ყველა არხზე

აშშ-ისტვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)



ამ ტენდენციით აიხსნება რიგი საკითხების გაშუქება განსხვავებული ინტერპრეტაციითა და საკითხის სხვადასხვა მხარეზე ყურადღების გამახვილებით. მაგალითად, თემატური მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების ქვეშ მყოფ ხუთ არხზე განსხვავებულად გაშუქდა საქართველოსა და ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ძალაში შესვლა. „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან ეს აქტი წარმოდგენილი იყო, როგორც არადემოკრატიული, უკან გადადგმული ნაბიჯი, სამარცხვინო საქციელი და რუსეთთან დაახლოება. „იმედი“ და „რუსთავი 2“ ყურადღებას იმაზე ამახვილებდნენ, რომ მსგავსი შეთანხმება საქართველოსა და ბელარუსსა და ბევრ სხვა, მათ შორის ევროპულ ქვეყანასთან აქვს, შეთანხმება გლობალურ უსაფრთხოებას, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და მძიმე დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობას უხედა და არ მოიცავს ვალდებულებას ინფორმაციის გადაცემის შესახებ. ხაზგასმული იყო, რომ ოპოზიციის საკითხის პოლიტიზებას ახდენდა.

მსგავსად განსხვავებული იყო ავღანეთიდან მოქალაქეებისა და ქართველების ევაკუაციის საკითხის გაშუქებაც. თუკი „იმედი“ და „რუსთავი 2“ საქართველოს საგარეო უწყების საქმიანობას წარმატებულად აშუქებდნენ, მათ შორის წარმოადგენდნენ უცხოელი აქტორების შექებას საქართველოს მიმართ, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ავღანეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები სხვა ქვეყნების დახმარების იმედად იყვნენ და საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით ვერაფერს აკეთებდა.

განსხვავებული იყო უკრაინაში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის გაშუქების მოცულობა და აქცენტები. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ გასულ სიუჟეტებში საქართველოსა და უკრაინის საერთო ღირებულებებსა და მისწრაფებებზე კეთდებოდა აქცენტი, იმაზე, რომ ორივე ქვეყნის მიზანი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება და დეოკუპაციისთვის ბრძოლაა. უკრაინა ნახსენები იყო, როგორც საქართველოს გამორჩეული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა. მეორეს მხრივ, „მთავარმა არხმა“ და „ტვიპირმა“ ყურადღება უკრაინაში ღარიბაშვილისა და შარლ მიშელის არაფორმალურ შეხვედრაზე გაამახვილეს, უფრო სწორად კი შარლ მიშელის ტვიტერის პოსტზე, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს მთავრობის მკაცრი გაფრთხილება, რომ თუკი 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები არ შესრულდებოდა, საქართველო ევროკავშირის დახმარების გარეშე დარჩებოდა.


განსხვავებული გაშუქების კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო ჟურნალში The Foreign Policy საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის იან კელისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის დევიდ კრამერის სტატიის გაშუქება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებდა. „მთავარმა არხმა“ ეს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ანტიდასავლურობის საჩვენებლად გამოიყენა და ფართოდ გააშუქა ის არგუმენტები, რასაც უცხოელი დიპლომატების კრიტიკა ეფუძნებოდა და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სტატია აშშ-ის პრეზიდენტს სანქციებისკენაც მოუწოდებდა, თუკი საქართველო გარკვეულ ნაბიჯებს არ გადადგამდა. „იმედიც“ გამოეხმაურა სტატიას და შეეცადა, კელი-კრამერის პოზიცია ორი ადამიანის ნააზრევად წარმოეჩინა და ხაზი გაესვა, რომ ეს აშშ-ის მთავრობის პოზიცია არ არის და თანხვედრაშია „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივთან.

ეს ტენდენცია 2020 წლის თემატური მონიტორინგის დროსაც გამოვლინდა და კიდევ უფრო აშკარა გახდა 2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდში. თუკი ევროკავშირისა და სხვა დასავლელი პარტნიორების შემთხვევაში არხები მათ ავტორიტეტსა და მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რუსეთის შემთხვევაში გაშუქება ყველა არხზე მკვეთრად უარყოფითი იყო. რუსეთი წარმოჩნდებოდა, როგორც „მტერი“, „ოკუპანტი“ და „აგრესორი“. რუსეთთან კავშირის ქონა არადემოკრატიულობასთან ასოცირდებოდა და ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანოდ აღიქმებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არხები საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით ან მმართველი გუნდის რუსეთთან კავშირებზე საუბრობდნენ, ან - ოპოზიციის.

რუსეთის შემთხვევაში საინტერესო დაკვირვება იყო, რომ არცერთ არხზე იგი უმეტესად წარმოდგენილი არ იყო, როგორც პირდაპირი აქტორი, რომელიც რაიმე განცხადებას გააკეთებდა არჩევნებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით. თუმცა, რუსეთის საკითხს პოლიტიკური ბრძოლისა და დისკრედიტაციის იარაღად იყენებდნენ და მისი ხსენება არჩევნებსა და პოლიტიკასთან კავშირში ძალიან ხშირი იყო.

დიაგრამა 3: რუსეთისთვის დათმობილი დრო გაშუქების ტონის მიხედვით ყველა არხზე

რუსეთისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)



რუსეთთან კავშირებსა და რუსეთის გავლენებზე საუბარი სიუჟეტებში გარკვეულწილად წინასაარჩევნო პერიოდში ამ უცხოელი აქტორის ჩარევაზე მიანიშნებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ოპოზიციურად განწყობილი არხების სიუჟეტები რუსი აგენტებისა და პროპაგანდისტების საქართველოში ვიზიტების შესახებ, სიუჟეტები ფონდი „ქართუს“ მიერ კრემლის პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციის „რუსული კლუბის“ დაფინანსებაზე, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდაზე. აგვისტოში გამოქვეყნდა „პატრიოტთა ალიანსის“ წერილი რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მისამართით, რაც აძლიერებდა ეჭვებს, რომ არჩევნებში მონაწილე ამ პარტიას რუსეთთან გარკვეული კავშირი ჰქონდა. საკუთარ კომენტარებსა და განცხადებებში საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები და არჩევნების დამკვირვებლები ახსენებდნენ წინასაარჩევნოდ რუსული პროპაგანდის საფრთხეებს.

რაც შეეხება სხვა უცხოელ აქტორებს, წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გახშირდა ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებები და მოწოდებები, რაც ხელისუფლების მხრიდან ჩარევად აღიქმებოდა და ამისი გაშუქებაც არხების სარედაქციო მიკერძოებულობის შესაბამისად ხდებოდა. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით

საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადებას საქართველოს მმართველი პარტიის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ ეს განცხადებები დიპლომატიის ფარგლებს სცდებოდა. კიდევ უფრო მკაცრი იყო პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი ევროპარლამენტარებისა და დასავლელი დიპლომატების წერილებთან დაკავშირებით, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვდნენ ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევამდე - „არც ფოტიგა, არც არავინ, არც კუბილიუსი და არც არავინ, ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს არ წარმოადგენენ“, „ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას“, „ვინ არის საერთოდ ფოტიგა, რატომ ბედავენ ამდენს?!“

საერთო ჯამში, უცხოელი აქტორების გაშუქებაზე დაკვირვების ჭრილში გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო გარემოს წარმართავდა ორი პოლუსი - დასავლეთი და რუსეთი, რომელიც გამოყენებული იყო პოლიტიკური იარაღების მისაწებებლად, პროგრესულობის ხაზგასასმელად ან დისკრედიტაციისთვის. არჩევნების პირველი ტურისთვის მთავარი გზავნილი იყო, რომ არჩევანი პროდასავლურ ოპოზიციასა და პრორუსულ ხელისუფლებას, ან პირიქით პროდასავლურ ხელისუფლებასა და დესტრუქციულ ოპოზიციას შორის უნდა გაკეთებულიყო. მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ კი არჩევნების მეორე ტურმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა და სააკაშვილის გადარჩენა-არგადარჩენას დაუკავშირდა. საინტერესოა, რომ პოლიტიკური გარემო ნაკლებად იყო ორიენტირებული ადგილობრივ არჩევნებზე და გარკვეული გზავნილები პოლიტიკური პარტიების მხრიდან მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც უცხოელი აქტორების მიერ პირველი ტურის შეფასებებში ამ მიმართულებით კრიტიკა გამოითქვა.

თემატური მედია მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით

თემატური მონიტორინგის შედეგები ანგარიშში ცალ-ცალკეა განხილული არხების მიხედვით.


საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, 2021 წლის 3 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე პერიოდში არჩევნების, პოლიტიკისა და პოლიტიკური/სახელისუფლებო სუბიექტების შესახებ სიუჟეტებს ორი დღე, 15 საათი და 42 წუთი დაეთმო (იხ. ცხრილი 1, დანართი 2). ამ დროის 13%-ის განმავლობაში უცხოელი აქტორები შუქდებოდნენ. საზოგადოებრივი მაუწყებელი გარე აქტორებს ყოველთვის აქტიურად აშუქებდა. აგვისტო-სექტემბერში დიდი დრო დაეთმო ევროკავშირის სესხზე უარის თქმას და ამ ფაქტის შეფასებებს და ამ საკითხზე გასული სიუჟეტები, როგორც წესი, ყველა მხარის პოზიციას აჩვენებდა. ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ, ყურადღება გამახვილებული იყო სადამკვირვებლო მისიებისა და ევროპარლამენტარების შეფასებებზე. საუბარი იყო არჩევნების როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე (ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა).

უცხოელი აქტორებიდან ყველაზე მეტი დრო ევროკავშირს დაეთმო (იხ. დიაგრამა 4). გაშუქების ტონი უმეტესად (89%) ნეიტრალური იყო. თუმცა, დროის დაახლოებით მეათედის განმავლობაში (9%) ევროკავშირი დადებითად გაშუქდა. დადებითი ტონი მეტწილად მარლ მიშელის ლოკუმენტისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობისა და წარმომადგენლების გაშუქებას უკავშირდებოდა. რაც შეეხება ევროკავშირის უარყოფითი გაშუქების მცირედ წილს (2%), ეს ძირითადად ეხებოდა ევროპარლამენტარების წერილს არჩევნების პირველი ტურის შეფასების შესახებ და მასზე „ქართული ოცნების“ გამოხმაურებას (8 ოქტომბრის სიუჟეტი), ასევე, პრემიერმინისტრ დარიბაშვილის განცხადებას, რომელიც მან ოქტომბრის ბოლოს ევროპარლამენტარების წერილებთან და ევროპარლამენტარებთან დაკავშირებით გააკეთა და რომელშიც ისინი მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერისა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევისთვის გააკრიტიკა (20 ოქტომბრის სიუჟეტი).

დიაგრამა 4: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო და მათი გაშუქების ტონი

უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) საზ. მაუწყებლის პირველი არხი



ევროკავშირის გარდა, კიდევ სამი უცხოელი აქტორი იყო, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე თემატური მონიტორინგის პერიოდში ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმო. ესენი იყვნენ: აშშ, რუსეთი და უკრაინა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ისთვის დათმობილი დაახლოებით მეოთხედი დადებითი ტონით შეფასდა, ხოლო რუსეთი იყო ერთადერთი უცხოელი აქტორი, რომლის გაშუქებაც დათმობილი დროის უმრავლესობის (68%) განმავლობაში უარყოფითი ტონით ხდებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების დადებითი გაშუქება აშშ-ის კონგრესმენების, შემდეგ კი თავდაცვის მდივნის ვიზიტს, უსაფრთხოების

მემორანდუმზე ხელმოწერასა და მის შეფასებებს უკავშირდებოდა. აშშ წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს მტკიცე პარტნიორი და საყრდენი უსაფრთხოების საკითხში, რუსეთი კი - როგორც ამ საფრთხის შემქმნელი. რუსეთის გაშუქებისას იგი ხშირად ნახსენები იყო, როგორც ოკუპანტი, მიუხედავად იმისა, სიუჟეტი აგვისტოს ომის განხილვას ეხებოდა, თუ სხვა თემებს, როგორებიცაა: გალში ქართული ენის აკრძალვა, საქართველოს მოქალაქის დაკავება საოკუპაციო საზღვართან, პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის ვიზიტი ყირიმის პლატფორმის სამიტზე, გაეროში პრემიერმინისტრის გამოსვლა, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მორიგი რაუნდი და მის შემდგომ რუსული და ქართული მხარეების განცხადებები.

უნდა აღინიშნოს, რომ, უცხოელი აქტორების გაშუქებისას, დაკვირვების ქვეშ მყოფ ხუთ არხთან შედარებით, პირველი არხი ყველაზე დაბალანსებული და ნეიტრალური იყო. ინფორმაციის გადმოცემის დროს არ შეინიშნებოდა ან მინიმალური იყო ჟურნალისტების მხრიდან შეფასებები, რაც არხის პოზიციასზე მიმანიშნებელი იქნებოდა.

პირველ არხზე თემატური მონიტორინგის პერიოდში შუქდებოდა უცხოელ აქტორებთან დაკავშირებული საკითხები, რაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყო გამოყენებული. მაგალითად, შარლ მიშელის დოკუმენტის შესრულება-არშესრულების საკითხი, ასევე რუსეთის თემა. რუსეთი არც პირველ არხზე და არც სხვა არხებზე არ იყო წარმოჩენილი, როგორც პირდაპირი აქტორი, რომელიც რაიმე განცხადებას გააკეთებდა არჩევნებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით. თუმცა, რუსეთის საკითხი პოლიტიკური დისკრედიტაციის იარაღად იყო გამოყენებული. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, 6 აგვისტოს „მოამბეში“ გასულ სიუჟეტში რუსული საგარეო უწყების განცხადებაზე გამოხმაურებების შესახებ. „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ რუსეთი ცდილობს „მაქსიმალურად მეტი იხეიროს საქართველოში და ეს ანტიდასავლური გამოხტომები: ძალადობა, ევროკავშირის დროშის დაწვა და გაღვივება ამ ანტიდასავლური განწყობების, ეს არის რუსეთის მიერ ინსპირირებული, დაფინანსებული და მხარდაჭერილი“. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი კი უფრო რადიკალურია და მიმართული ძალის რუსულ გავლენებზე საუბრობს: „აზრი არ აქვს, რაც არ უნდა რეზოლუცია მიიღოს ამ ხელისუფლებამ, რაც არ უნდა, ასე ვთქვათ, დეკლარირებულად პროდასავლურ კურსზე ჰქონდეს ორიენტირი, რასაც აკეთებს საქმით, არის ეს“.

ევროპასთან და აშშ-თან, ზოგადად, დასავლეთთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე ხშირად ესმებოდა ხაზი „ქართული ოცნების“ პარტნიორობას და ამისთვის მნიშვნელობის მინიჭებას. მაგალითად, 26 აგვისტოს სიუჟეტში ხაზგასმული იყო, რომ ავღანეთის ჰუმანიტარულ მისიაში ჩართულობისთვის საქართველოს მთავრობა მადლობას იღებდა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის სანდო პარტნიორს წარმოდგენდა. უკრაინაში, ყირიმის სამიტზე ვიზიტისას პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა აღნიშნა საქართველოსა და უკრაინის საერთო მიზნები და გამოწვევები და ქვეყნის ევრო-ატლანტიკური მისწრაფება დააფიქსირა. ამ ვიზიტისას შარლ მიშელთან შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ ტვიტერის პოსტში კი აღნიშნა, რომ რეფორმები აუცილებლად შესრულდება. წინასწარჩვენო პერიოდში გავიდასიუჟეტები ნატო-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის დასრულების შესახებ, მონტენეგროს პრეზიდენტის ვიზიტისა და ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტის

შესახებ, რომლებშიც ნატო, დასავლეთი და ევროკავშირი საქართველოს პარტნიორებად იყვნენ წარმოდგენილნი.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე 29 და 30 სექტემბერს გავიდა ინტერვიუები ევროპარლამენტარებთან, რომლებმაც არჩევნების პროცესებზე, შარლ მიშელის დოკუმენტის შესრულებაზე და მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის გეგმებზე ისაუბრეს. სიუჟეტებში ჟურნალისტები საკუთარი შეფასებების გაკეთებას ერიდებოდნენ. ევროპარლამენტარები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც ავტორიტეტის მქონე ოფიციალური პირები. ევროპარლამენტარმა კალიურანდმა ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ პოლიტიკური პარტიები პატივს სცემენ ეუთო/ოდირის დასკვნას და საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, არ დაიწყებენ მასში სასურველი ნაწილების ამოკრეფას და იმაზე ყურადღების გამახვილებას.

არჩევნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი დაკავების საკითხი გახდა აქტუალური. სხვა არხებთან შედარებით, პირველ არხზე ამ თემას ნაკლები დრო დაეთმო. 3 ოქტომბერს გავიდა სიუჟეტი, რომელშიც ჟურნალისტმა შეაჯამა დასავლელი პარტნიორების განცხადებები. აღნიშნა, რომ ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმატორების პოლიტიკური ჯგუფი ხელისუფლებას ყოფილი პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოუწოდებდა. გაიხსენა ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის პოზიცია, რომ „ევროკავშირს არ აქვს არც რესურსი და არც სურვილი, რომ იშუამდგომლოს კიდევ ერთ უმიზნო პოლიტიკურ კრიზისში, რომელიც, სააკაშვილის დაბრუნების შემთხვევაში, აუცილებლად წარმოიქმნება“. ასევე, გაგვაცნო უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებაც, რომელშიც იგი ამბობს, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეეცდება, უკრაინაში დააბრუნოს უკრაინის მოქალაქე სააკაშვილი. თუმცა, არ იცოდა მისი ამ გადაწყვეტილების შესახებ და არასწორად აფასებს მას, რადგან სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლების წევრია. სიუჟეტში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ელჩების კომენტარებიც იყო წარმოდგენილი. ამასთან, ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ სააკაშვილის ამ ფორმით დაბრუნებას და მის დაკავებას დასავლეთში განსაკუთრებული შემფოთება არ მოჰყოლია და არავის უთქვამს, რომ ის პოლიტიკური პატიმარია, როგორც ეს ნავალნის შემთხვევაში მოხდა. სიუჟეტში წარმოდგენილი/ნახსენები უცხოელი აქტორები მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილების უარყოფითი შეფასებისთვის იყო გამოყენებული. მსგავს იდეას ატარებდა 7 ოქტომბერს გასული სიუჟეტი „ევროპარლამენტარის განცხადება და შეფასებები“, რომელშიც ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი მიხეილ სააკაშვილს ძალაუფლებადაკარგულად მიიჩნევდა და მის საქართველოში შემოსვლას უკანონოდ აფასებდა.

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პირველ არხზე გავიდა სიუჟეტი პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტზე უკრაინაში, რომელშიც იკითხებოდა, რომ მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა, რომ სააკაშვილის ფაქტორი საქართველო-უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებზე ვერ იმოქმედებს.


იმედი

„იმედზე“, 2021 წლის 3 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე პერიოდში საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტებს არჩევნების, პოლიტიკისა და პოლიტიკური/სახელისუფლებო სუბიექტების შესახებ სამი დღე და ხუთი საათი დაეთმო (იხ. ცხრილი 1, დანართი 2). უცხოელი აქტორების გაშუქება ამ დროის 10%-ს შეადგენდა. ზოგადად, 2020 წლის თემატური მონიტორინგის მსგავსად, „იმედი“ ცდილობდა, ერთის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ პრორუსულ ძალად წარმოჩენას და იმის ხაზგასმას, რომ „ქართული ოცნება“ პროდასავლურ კურსს ატარებს და თანამშრომლობს ევროკავშირთან და სხვა დასავლურ სტრუქტურებთან.

„იმედზე“ გამორჩეულად დიდი დრო ევროკავშირის გაშუქებას დაეთმო, ერთი საათი და 55 წუთი (იხ. დიაგრამა 5). გაშუქების უმეტესი წილი ნეიტრალური ტონით შეფასდა, მეათედზე მეტი (13%) დადებითი ტონით, ხოლო ხუთი პროცენტი - უარყოფითი. უარყოფითი ტონი ძირითადად ევროპარლამენტარების განცხადებების გაშუქებას მიემართებოდა, იქნებოდა ეს, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის ტვიტერის პოსტი ვიოლა ფონ კრამონის განცხადებაზე, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება პოლიტიკურ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს (29 სექტემბერი), თუ რაფაელ გლუკსმანისთვის მიძღვნილი ვრცელი სიუჟეტი („ვინ არის რაფაელ გლუკსმანი“, 16 ოქტომბერი).

დიაგრამა 5: „იმედზე“ უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო და მათი გაშუქების ტონი

უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) იმედი



სხვა არხების მსგავსად, „იმედზე“ დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში, ევროკავშირთან ერთად, მოხვდნენ: აშშ, უკრაინა და რუსეთი. ეს იყო ოთხი ძირითადი უცხოელი აქტორი, ვინც არჩევნების, პოლიტიკისა და ხელისუფლების წარმომადგენლების გაშუქების კონტექსტში საინფორმაციო გამოშვებებში იყო წარმოდგენილი. ამ ოთხი აქტორიდან ყველაზე მეტი დადებითი გაშუქების წილი აშშ-ის შემთხვევაში დაფიქსირდა, რაც აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტს, მის პირდაპირ გაშუქებას, ამერიკელი სენატორების ვიზიტისა და აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ სიუჟეტებს უკავშირდება. უარყოფითი გაშუქების მხრივ, როგორც თემატური მონიტორინგის ხუთივე არხზე, გამორჩეულია რუსეთი, რომელიც „იმედზე“ დაახლოებით 42 წუთის განმავლობაში გაშუქდა და აქედან ოცდაექვს-ნახევარი წუთი (63%) უარყოფითი ტონით შეფასდა. რუსეთის უარყოფითი გაშუქების მნიშვნელოვანი წილი მის ოკუპანტად და აგრესორად წარმოჩენასთან ერთად, განპირობებული იყო იმით, რომ ხდებოდა პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით წინამართველი პარტიის, რუსეთთან კავშირის ან რუსული ინტერესების გატარების ხაზგასმა.

„იმედზე“ უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დროისა და გაშუქების ტონის თვალსაზრისით, საინტერესოა უცხოური კვლევითი ორგანიზაციები (დასავლეთის ქვეყნებიდან/გაერთიანებებიდან), რომელიც 17-ნახევარი წუთის განმავლობაში გაშუქდა და ამ გაშუქების დაახლოებით მესამედი უარყოფითი ტონით იყო წარმოდგენილი. ეს ეხება სიუჟეტებს „იფსოს“-ისა და „ედისონ რისერჩის“ შესახებ, რომლებმაც მთავარ არხსა და ფორმულას კვლევები ჩაუტარეს და რომლებსაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები უნდობლობას უცხადებდნენ. რიგ შემთხვევაში ამ სიუჟეტებში იმასაც ესმებოდა ხაზი, რომ უნდობლობა მხოლოდ „ქართული ოცნებიდან“ კი არ მომდინარეობს, არამედ ოპოზიციის ნაწილიც იზიარებს კრიტიკას. ზოგ შემთხვევაში ისიც იყო აღნიშნული, რომ მთავარი არხი და „იფსოსი“ ისედაც ეჭვს იწვევენ კვლევების გაყალბების მხრივ (29 ოქტომბრის სიუჟეტი „გაყალბებული კვლევა“).

თემატური მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ მყოფი არხების ჩამონათვალში „იმედი“ ხელისუფლების მიმართ გამოკვეთილად ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. შესაბამისად, განსხვავდებოდა მისი აქცენტები, მათ შორის უცხოელი აქტორების გაშუქების დროს.

პირველი აქტუალური თემა, სადაც გამოკვეთილად განსხვავებული მიდგომა გამოვლინდა, ევროკავშირის სესხი იყო, რომელზეც ხელისუფლებამ უარი თქვა. განსხვავება ცნებების დონეზეც შეინიშნებოდა. ოპოზიციურ არხებზე მუდმივად ახსენებდნენ ევროკავშირის დახმარებას და მასზე ხელისუფლების უარს, ხოლო „იმედზე“ შეგნებულად იყენებდნენ ტერმინს სესხი ან ვალი და ამით ხაზს უსვამდნენ, რომ ქვეყანამ დახმარებასა და საჩუქარზე კი არ თქვა უარი, არამედ სესხზე, რისი აღებაც გაზრდილი ეკონომიკის პირობებში საჭირო აღარ იყო.

ეს საკითხი პირველად 31 აგვისტოს გაშუქდა: მე-3 სიუჟეტი „სააკაშვილის მორიგი ანტისახელმწიფოებრივი მოწოდება“, სადაც აღნიშნული იყო, რომ სააკაშვილისა და ოპოზიციის ინტერპრეტაციით, ეს იყო სანქცია „ქართული ოცნებისთვის“ ევროკავშირის მხრიდან. ამ სიუჟეტში კი გატარებული იყო ამის საწინააღმდეგო და ასევე სააკაშვილის საწინააღმდეგო ნარატივი, რომ საქართველომ ეკონომიკური აღმავლობის ფონზე თავად განაცხადა უარი ამ სესხის მიღებაზე, სააკაშვილი კი თავისი მავნებლური განცხადებებით

ქვეყნისთვის ზიანის მიყენებას ცდილობს. ევროკავშირის სესხზე უარის გამართლებას იმავე გადაცემაში მე-4 სიუჟეტიც მიეძღვნა, სათაურით „ეკონომიკური ზრდა“, რომელიც მთლიანად წარმოადგენს ხელისუფლების პასუხს ევროკავშირისაგან სესხის არმიღებასთან დაკავშირებით. ხაზგასმული იყო, რომ მთავრობის მიერ წარმატებული პოლიტიკის გატარების გამო, წელს გვაქვს უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა 12.2 %, რაც ევროკავშირის დახმარებას საჭიროს აღარ ხდის. ამავდროულად, აღნიშნული იყო ევროკავშირის დადებითი როლიც, რომ გაჭირვების დროს ისინი უკვე დაგვეხმარნენ. ეს საკითხი 1, 2, 3 და 5 სექტემბრის გადაცემებშიც გაჟღერდა. პირველი სექტემბრის სიუჟეტში „უარი ევროკავშირის სესხს“ ასევე მოყვანილი იყო ევროკავშირის წარმომადგენლის, ჟულიენ კრამპის განცხადება, რომელიც ადასტურებდა, რომ საქართველოს მთავრობამ სესხზე უარი თქვა, მაგრამ ასევე აღნიშნავდა, რომ „საქართველომ ვერ შეძლო სათანადოდ შეესრულებინა მაკროეკონომიკური დახმარების მიღების პირობა, კერძოდ, გაეზარდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და ხარისხი“. 2 სექტემბრის იმავე სახელწოდების სიუჟეტში უკვე იმაზე იყო საუბარი, რომ ხელისუფლება ბრიუსელში წერილს გზავნიდა და ახსნა-განმარტებას ითხოვდა ევროკავშირის ამ განცხადების გამო.

„იმედზე“ წინასაარჩევნო პერიოდში დიდი დრო ეთმობოდა მმართველი პარტიის ლიდერების უცხოეთში ვიზიტების დეტალურ გაშუქებას. მაგალითად, პრემიერმინისტრის ვიზიტს უკრაინაში, მის გამოსვლას გაეროში, რითიც საქართველოს ხელისუფლების დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობას ესმებოდა ხაზი. იმავე საკითხს ეხებოდა სიუჟეტები ავღანეთიდან ხალხის ევაკუაციის საქმეში საქართველოს ჩართულობაზე, რომლებშიც საქართველო წარმატებულ საერთაშორისო აქტორად იყო წარმოჩენილი, ხელისუფლება კი - დადებითად.

„იმედზე“ გვხვდებოდა სიუჟეტები, რომლებიც ეხმიანებოდა და ცდილობდა, გაებათილებინა ისეთი ინფორმაცია, რაც მმართველი პარტიის დისკრედიტაციას ახდენდა. მაგალითად, 16 აგვისტოს სიუჟეტი „საქართველო-ბელარუსი“, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ბელარუსისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების მიერ ხელშეკრულების დადებაზე აპელირება ოპოზიციის მხრიდან მმართველი პარტიის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. სიუჟეტი რამდენჯერმე იმეორებდა, რომ საქართველოსაც და ბელარუსსაც მსგავსი ხელშეკრულებები ბევრ სხვა ქვეყანასთან აქვთ დადებული, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებთან. ასევე, 21 აგვისტოს სიუჟეტი „ფორინ პოლისის სტატია“, რომელიც ეხმიანება საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის იან კელისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის დევიდ კრამერის სტატიას ჟურნალში The Foreign Policy, სადაც ისინი საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებენ. სიუჟეტში თვალშისაცემია ის, რომ წყაროებიც და ჟურნალისტიც მაქსიმალურად ცდილობენ, კელი-კრამერის პოზიცია ორი ადამიანის ნააზრევად წარმოაჩინონ და აღნიშნონ, რომ აშშ-ის მთავრობა ასე არ ფიქრობს. ამასთან, ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე ამბობს, რომ ამ ორი ამერიკელის მიერ გამოქვეყნებული პოზიცია სრულ თანხვედრაშია „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივთან.

ზოგადად, „იმედზე“ დასავლეთი, აშშ, ევროპა თითქმის ყოველთვის დადებით კონტექსტში იყო წარმოდგენილი. სიუჟეტებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ელჩების შეფასებებს. საინტერესოა 24 სექტემბრის სიუჟეტი „ნიკამელიას პროვოკაცია“, სადაც მედიაგაკრიტიკებულია

ევროკავშირის ოფისთან პროვოკაციის მოწყობის გამო. აღსანიშნავია ორი აქცენტი, რომელიც სიუჟეტში გვხვდება. ერთის მხრივ, წამყვანი თითქოს საყვედურობს ევროკავშირის ელჩს, რომ ნიკა მელიას ქმედებაზე გამოხმაურება დააგვიანა მაშინ, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკიდან სწრაფად გამოეხმაურა ფაქტს. მეორეს მხრივ კი, იმავე ევროკავშირის ელჩი წარმოდგენილია, როგორც ავტორიტეტული ფიგურა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოპოზიციის მხრიდან ბოდში არ ყოფილა. შესაბამისად, ელჩის გამოყენებით გაკრიტიკებულია ოპოზიცია.

„იმედზე“ ისევე, როგორც ოპოზიციურად განწყობილ არხებზე საარჩევნო საკითხები გარკვეულწილად უკან დაწია საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ. ამ მოვლენის გაშუქებისას „იმედზე“ კრიტიკული, რიგ შემთხვევებში კი სარკასტული ტონიც შეინიშნებოდა. მაგალითად, 4 ოქტომბრის პირველი სიუჟეტი (პედლაინი) „შემოპარვა კონტინერით“. სააკაშვილის საკითხთან მიმართებაში, „იმედის“ ნარატივი ხშირად ეხებოდა უკრაინას. სიუჟეტებში ხდებოდა იმის წარმოჩენა, რომ უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, რომ იქაც აღძრულია სააკაშვილის გამოპარვის გამო საქმე და რომ სააკაშვილს და მის ამ ქმედებას უკრაინაშიც აკრიტიკებენ. გარდა უკრაინისა, სააკაშვილის კრიტიკა „იმედმა“ ამერიკელი დიპლომატის მხრიდანაც გააჟღერა, 26 ოქტომბრის სიუჟეტში „ამერიკელი დიპლომატი სააკაშვილზე“, სადაც ხაზგასმული იყო, რომ გავლენიანი ამერიკელი დიპლომატი დენიელ ფრიდი აკრიტიკებდა სააკაშვილის საქციელს, რომელსაც ისევ რევოლუცია უნდა. შემდგომში მისი შეფასება განზოგადებულად იყო წარმოდგენილი და ნათქვამი, რომ შტატებში ვარაუდობენ, რომ ექსპრეზიდენტი 18 წლის შემდეგაც ვარდების რევოლუციაზე ოცნებობს, ოღონდ ვერ იაზრებს, რომ საქართველოში ახლა ამის დრო არ არის.


არჩევნების შემდეგ „იმედი“ ხაზს უსვამდა იმას, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები დადებითად შეაფასეს. 6 ოქტომბრის სიუჟეტი „არჩევნები 2021 - ევროპარლამენტარების შეფასება“ მაგალითია იმისა, რომ უცხოელი აქტორების მიერ გაკეთებულ განცხადებას სახელისუფლებო და ოპოზიციური არხები, მმართველი და ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ. ამ შემთხვევაში ეს იყო ევროპარლამენტარების განცხადება, რომლებიც არჩევნებს საერთო ჯამში დადებითად აფასებდნენ, რადგან ტექნიკურად გამართული, კონკურენტული და თავისუფალი იყო, მაგრამ საუბრობდნენ ხარვეზებზე და მთელ პოლიტიკურ სპექტრს მოუწოდებდნენ, ქვეყნის განვითარება პარტიულ ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ: „ვიმედოვნებთ, რომ პოლიტიკური კლასი პასუხისმგებლობასა და სიმწიფეს გამოიჩინს: მათ თავიანთი ერის ინტერესი პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ“. მიუხედავად ამისა, სიუჟეტში ჟურნალისტმა პირდაპირ აღნიშნა: „პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპარლამენტარების კრიტიკის ობიექტი ოპოზიცია გახდა“; „ევროპარლამენტარებმა ოპოზიციის სურვილს წერტილი დაუსვეს“. ოქტომბერში ძალიან აქტუალური იყო და ხშირად შუქდებოდა ევროპარლამენტარების განცხადებები, რომლებსაც ოპოზიცია თუ ხელისუფლება, ასევე ოპოზიციური და სახელისუფლებო არხები საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდნენ.

რუსთავი 2

თემატური მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში, 2021 წლის 3 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე, „რუსთავი 2“-ის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტებს არჩევნების, პოლიტიკისა და პოლიტიკური/სახელისუფლებო სუბიექტების შესახებ დაახლოებით ორი დღე და რვა საათი დაეთმო (იხ. ცხრილი 1, დანართი 2). უცხოელი აქტორების გაშუქება ამ დროის 12%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 6: „რუსთავი 2“-ზე უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო და მათი გაშუქების ტონი

უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) რუსთავი 2



საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა და „იმედის“ მსგავსად, „რუსთავი 2“-ზეც ოთხი სუბიექტია, რომელსაც ნახევარ საათზე მეტი დრო დაეთმო და პირველი ოთხეულის სიაც იგივენაირად გამოიყურება: ევროკავშირი, აშშ, უკრაინა და რუსეთი (იხ. დიაგრამა 6). ამ უცხოელი აქტორებიდან სამი უმეტესად ნეიტრალური ტონით გაშუქდა, ხოლო რუსეთის შემთხვევაში გაშუქების თითქმის ოთხმოცი პროცენტი (79%) უარყოფითი იყო, რაც რუსეთის მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემოთავაზებას, მასზე რეაქციებს, აგვისტოს ომის გახსენებას, ოკუპირებულ ტერიტორიებს, სტრასბურგში აგვისტოს ომის დანაშაულებთან დაკავშირებით საქმის მოგებას უკავშირდება. რუსულ ოკუპაციაზე საუბარი ასევე გვხვდება საქართველოს ოფიციალური პირების გამოსვლებში საერთაშორისო ასპარეზზე. გარდა ამისა, ზოგჯერ პოლიტიკურ სიუჟეტებში რუსეთის გაშუქებას ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან კავშირშიც ვხვდებით (მაგალითად, პატრიოტთა ალიანსის მიმართვა პუტინს, გავრილოვის ღამე).

ზოგადად აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა, სხვა არხებთან შედარებით, „რუსთავი 2“ ნაკლებად მიკერძოებული იყო, რაც უმეტესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ჟურნალისტების ენა შედარებით ნაკლებად რადიკალური და შეფასებითი იყო. სხვა მხრივ, შესამჩნევია, რომ მმართველ გუნდს ხშირად დადებითად წარმოაჩენდნენ. გარე აქტორების გაშუქების შეფასებისას ამ კონტექსტის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია.

ხშირად პრემიერმინისტრს გარე აქტორებთან კავშირში აშუქებდნენ, რაც მას დადებითად წარმოაჩენდა. მაგალითად, პრემიერის დასწრება სამხედრო წვრთნებზე (სადაც ნატო და აშშ ცალსახად დადებითად იყვნენ გაშუქებული), პრემიერის მიერ ამერიკელი კონგრესმენების მოწვევა და მათი ვიზიტი, რომელზეც კიდევ ერთხელ უთხრეს, რომ საქართველო აშშ-ისთვის სტრატეგიული პარტნიორია. რამდენიმე ვრცელი სიუჟეტი მიეძღვნა დარიბაშვილის ვიზიტს ნიუ იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი, თუ რომელი ქვეყნის ლიდერებს შეხვდა, რომ ჰარვარდში მისი ჩართულობით ქართველოლოგიის პროგრამა გაიხსნა და ა.შ. იგი წარმოჩენილი იყო, როგორც გავლენიანი პროდასავლური ლიდერი. ასევე, 21 ოქტომბრის გადაცემაში გაშუქდა პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი საბერძნეთში. წამყვანმა სიუჟეტი შემდეგნაირად წარადგინა: „ევროპის საბჭოს პარლამენტის სპიკერების კონფერენცია საბერძნეთის დედაქალაქში დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გახსნა. კახა კუჭავა თანამშრომლობის ახალი ინიციატივით გამოდის“. სიუჟეტში ხაზგასმულია არამხოლოდ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ქართველი სპიკერის მიერ გახსნის პატივი, არამედ ის ფაქტი, რომ საკითხების ზოგადი განხილვის გარდა, კუჭავას სხვა ქვეყნების ლიდერებთან პირისპირ შეხვედრები ჰქონდა. გარდა ამისა, წინასაარჩევნოდ იყო სიუჟეტები, რომლებიც გარე აქტორების გამოყენებით ხელისუფლების წარმატებული მუშაობის ჩვენებას ცდილობდა. მაგალითად, 22 ოქტომბრის სიუჟეტში „მთავრობის ეფექტიანობის ინდექსი“ აღნიშნული იყო, რომ მთავრობის ეფექტიანობის 2021 წლის ინდექსის შედეგების მიხედვით, საქართველო წელს დაწინაურდა და ევროპის ქვეყნებისა და მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნების საუკეთესო ოცეულშია, მსოფლიო მასშტაბით კი 21-ე ადგილს იკავებს.

„რუსთავი 2“-ზე საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ავღანეთიდან ქართველების ევაკუაციის საკითხს, რომლის დროსაც დადებითად იყო წარმოჩენილი ქვეყნის საგარეო უწყების მუშაობა, განსხვავებით ოპოზიციური არხებისგან, სადაც ავღანეთში ჩარჩენილ ქართველებსა და ხელისუფლების უმოქმედობაზე საუბრობდნენ.

„რუსთავი 2“-ზე აშშ, ევროკავშირი, ნატო, დასავლეთი ყოველთვის საქართველოს პარტნიორებად იყვნენ მოხსენიებული. მაგალითად, 9 აგვისტოს სიუჟეტში „საგარეო უწყების 10-წლიანი გეგმა“ საუბარი იყო იმ მიზნებზე, რაც მთავრობას მომავალი 10 წლის განმავლობაში საგარეო მიმართულებით ჰქონდა და ევროკავშირი და ნატო ნახსენები იყო, როგორც ორგანიზაციები, რომელთა წევრობისთვისაც ვისწრაფვით, აშშ - როგორც სტრატეგიული პარტნიორი, რუსეთი კი - როგორც სახელმწიფო, რომელთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე საუბარი დეოკუპაციაზე გადის. სიუჟეტი მთლიანად მთავრობის პერსპექტივას გადმოსცემდა და სხვა მხარეების პოზიცია მოცემული არ იყო.

სიუჟეტებში ხშირად ხაზგასმული იყო, რომ „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობა და კარგი ურთიერთობა აქვს. მაგალითად, 6 აგვისტოს გასული სიუჟეტი აშშ-თან ერთად განხორციელებულ მრავალეროვან სამხედრო სწავლებებზე, 5 აგვისტოს სიუჟეტი

გაეროსა და დიდი დასავლური ქვეყნების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერაზე და მათ მიერ რუსეთის ოკუპაციის დაგმობაზე. ეს საკითხი უხშირესად ოპოზიციის იმ რიტორიკას, რომ გაეროში და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს საკითხი აქტუალური აღარ არის. ზოგადად, „იმედის“ მსგავსად, „რუსთავი 2“-ზეც გვხვდებოდა სიუჟეტები, რომელიც ოპოზიციის მიერ მმართველი გუნდის კრიტიკის გაბათილებას ცდილობდა. მაგალითად, 12 ოქტომბრის სიუჟეტში „რუსთავი 2“ ცდილობდა, გაექარწყლებინა ოპოზიციის განცხადებები, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო-რუსეთის კონფლიქტი დავიწყებას მიეცა. სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ ლისაბონში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, კრემლის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა კიდევ ერთხელ დაგმეს და საქართველოში რუსეთის აგრესიას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მიმართ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევას

ოქტომბერში ვრცელი სიუჟეტები მიეძღვნა საქართველოში აშშ-ის თავდაცვის მდივნის ლოიდ ოსტინის ვიზიტს. მაგალითად, 18 ოქტომბრის სიუჟეტში ლოიდ ოსტინის ვიზიტი წარმოდგენილი იყო, როგორც ახალი ფაზა აშშ-სა და საქართველოს შორის უსაფრთხოების ორმხრივ თანამშრომლობაში. თავად ოსტინმა რუსეთი გააკრიტიკა ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო და საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა. ამ თემაზე გასულ სიუჟეტებში ვიზიტს ძალიან მნიშვნელოვნად აფასებდნენ როგორც ქართველი დიპლომატები, ასევე უცხოელი ანალიტიკოსები, მას „ისტორიულ ვიზიტს“ უწოდებდნენ და სტრატეგიული პარტნიორობის დადასტურებად მიიჩნევდნენ.

„რუსთავი 2“-ზე, „იმედის“ მსგავსად, ბელარუსისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს შორის ხელშეკრულებაზე სიუჟეტი ხელისუფლების პოზიციის აქცენტით მოამზადა. 16 აგვისტოს სიუჟეტში გადმოცემული იყო საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, რომ შეთანხმება ეხება გლობალურ უსაფრთხოებას, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და მძიმე დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობას ბელარუსთან და იგი არ მოიცავს ვალდებულებას ინფორმაციის გადაცემის შესახებ. ხაზგასმული იყო, რომ ოპოზიცია საკითხის პოლიტიზებას ახდენდა და მსგავსი შეთანხმება ბელარუსთან ისეთ ქვეყნებსაც ჰქონდათ, როგორცაა ლატვია, ლიეტუვა, გერმანია და ა.შ.

მიხეილ სააკაშვილის დაკავების საკითხი „რუსთავი 2“-ზეც ფართოდ გაშუქდა უცხოელი აქტორების გამოყენებით. განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ევროპარლამენტარების ის შეფასებები, სადაც ისინი სააკაშვილის დაბრუნებას პოლარიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების საფრთხედ აფასებდნენ.

არჩევნებთან დაკავშირებით „რუსთავი 2“-ზეც გაშუქდა საერთაშორისო დამკვირვებლებისა და დიპლომატების განცხადებები, მათი როგორც დადებითი, ასევე კრიტიკული შეფასებები. აღინიშნა, რომ არჩევნებს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია და დამკვირვებელი აკვირდებოდა (მაგალითად, 30 ოქტომბრის სიუჟეტში მეორე ტურის შემთხვევაში დასახელდა 51 საერთაშორისო ორგანიზაცია და 1102 უცხოელი დამკვირვებელი). განცხადებები აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებმაც გააკეთეს და არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას გაუსვეს ხაზი. აღინიშნეს, რომ მთავარი არბიტრი უეთო/ოდირი იყო და მის შეფასებას რამდენიმე კვირაში ელოდნენ.

საერთო ჯამში, „რუსთავი 2“-ზე, „იმედისგან“ განსხვავებით, ხელისუფლების მიმართ დადებითი დამოკიდებულება არა იმდენად ჟურნალისტების შესავლებსა და დასკვნებში გამოიხატებოდა, არამედ „ქართული ოცნების“ პროდასავლურად წარმოჩენის მცდელობაში.

მთავარი არხი

2021 წლის 3 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე, „მთავარი არხის“ სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში არჩევნებისა და პოლიტიკის თემებს, ასევე სიუჟეტებს პოლიტიკური/სახელისუფლებო სუბიექტების შესახებ დაახლოებით სამი დღე და 16 საათი დაეთმო (იხ. ცხრილი 1, დანართი 2). ამ დროის 10 პროცენტის განმავლობაში უცხოელ აქტორებს აშუქებდნენ.


თემატური მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთი არხიდან „მთავარი“ ერთადერთია, რომელზეც ყველაზე მეტი დრო არა ევროკავშირს, არამედ რუსეთს დაეთმო, დაახლოებით ორი საათი და 15 წუთი (იხ. დიაგრამა 7). დათმობილი დროის უმრავლესობის (62%) განმავლობაში რუსეთი უარყოფითი ტონით იყო წარმოდგენილი და ეს უკავშირდებოდა რუსეთის არამხოლოდ ოკუპანტად, აგრესორად და ევროპული კურსის გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორად წარმოჩენას, არამედ მისი გავლენების ხაზგასმას როგორც ქართულ ეკლესიაზე, ასევე მმართველ პარტიაზე. აგვისტოს ომის გახსენებას, სხვა არხებთან შედარებით, მეტი სიმძაფრე დაჰყვებოდა და ომის კადრები უფრო დიდი დოზით იყო ნაჩვენები. მომდევნო პერიოდში, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებისა და მისი დაკავების შემდეგ გახშირდა მისი, როგორც „პუტინის პატიმრად“ ხსენება და რუსეთის უარყოფითი გაშუქება ამ ქრილში. ზოგადად, რუსეთისა და მისი გავლენებისა თუ მმართველი გუნდის პრორუსული პოლიტიკის შესახებ „მთავარ არხზე“ ბევრად მეტი სიუჟეტი მომზადდა, ვიდრე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, „იმედზე“ ან „რუსთავი 2-ზე“ და რიგ შემთხვევებში ხაზგასმული იყო, რომ ეს არის „რუსული ხელწერა“ (მაგალითად, გიორგი გახარიას ნარკომანობაში დადანაშაულება მმართველი გუნდის მხრიდან).

ევროკავშირი „მთავარ არხზე“ მეორე ყველაზე ხშირად გაშუქებული გარე აქტორია. მას თემატური მონიტორინგის პერიოდში თითქმის ორი საათი დაეთმო (რუსეთისა და ევროკავშირის გაშუქების სინშირე ორჯერ და მეტჯერ აღემატება სხვა უცხოელი აქტორების გაშუქებას). გაშუქების ტონი უმეტესად (87%) ნეიტრალური იყო.

„მთავარი არხი“ ერთადერთია დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთი არხიდან, რომელზეც დათმობილი დროის მხრივ პირველ ოთხეულში უკრაინა არ მოხვდა. რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის შემდეგ ამ არხზე სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე ხშირად უცხოურ კვლევით ორგანიზაციებზე (დასავლური ქვეყნებიდან/გაერთიანებებიდან) საუბრობდნენ (თითქმის 33 წუთის განმავლობაში) და ეს გაშუქება თითქმის მთლიანად (98%) ნეიტრალური ტონით ხდებოდა.

დიაგრამა 7: „მთავარ არხზე“ უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო და მათი გაშუქების ტონი

უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) მთავარი არხი



„მთავარ არხზე“ დათმობილი დროისა და გაშუქების ტონის მხრივ, ყურადღებას იქცევს ბელარუსი, რომლის გაშუქებაც მისთვის დათმობილი დაახლოებით 25 წუთიდან ნახევარზე მეტის (56%) განმავლობაში უარყოფითი ტონით შეფასდა. საუბარი იყო ბელარუსი დამკვირვებლების ჩამოსვლაზე, რაც გაშუქებული იყო, როგორც არადემოკრატიული არჩევნების ჩატარების ნიშანი. ასევე 2016 წელს ბელარუსისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების მიერ შემუშავებული დოკუმენტის ძალაში შესვლაზე, რაც „მთავარ არხზე“ წარმოჩენილი იყო, როგორც საქართველოს დაახლოება არადემოკრატიულ ქვეყანასთან, ასევე რუსეთთან და დამორება დასავლურ სამყაროსთან, რაც ამ არხზე წინასაარჩევნო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი ნარატიულ ხაზს წარმოადგენდა.

„მთავარი არხი“ ანტისახელისუფლებო განწყობით გამოირჩევა, რაც უცხოელი აქტორების გაშუქების ჭრილშიც გამოიკვეთა. თითქმის ყველა გამოშვებაში ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ანტიდასავლური ძალაა, რომელსაც დასავლეთი საყვედურობს და შეიძლება სანქციები დაუწესოს. ამაზე სიუჟეტების სათაურებიც მეტყველებს: „მარლ მიშელის მკაცრი გაფრთხილება“ (24 აგვისტო), „ანტიდასავლური ოცნება“ (27 აგვისტო). მომდევნო პერიოდში, სექტემბერში, ამ მხრივ მნიშვნელოვანი თემა იყო უსაფრთხოების მასალების გავრცელება, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ სუსი ევროკავშირის დიპლომატებსაც უსმენდა, ამ თემაზე „მთავარ არხზე“ მთელი რიგი სიუჟეტები გავიდა.

22 სექტემბრის სიუჟეტში აღნიშნული იყო, რომ ამ მასალების გასაჯაროებას დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა, ბრიუსელში საქართველოს ელჩი ევროკავშირის ცენტრალურ ოფისში დაიბარეს და ევროკავშირის ელჩმა განაცხადა, რომ მეგობარი ქვეყნები ასე არ იქცევიან და ეს ვენეციის კონვენციის დარღვევაა. სიუჟეტში გაგრძელდა ირაკლი კობახიძის გამომხმარებელი, რომ მან „ჰარცელს დიპლომატიური ენა დაუწუნა და განაცხადა, რომ დიპლომატები ასე არ საუბრობენ“. შემდეგ კი წარმოდგენილი იყო ოპოზიციის შეფასებები, რომ „საქართველოს მთავრობას ევროპაში უკვე აღარ ენდობიან და ეს წითელი ხაზების გადაკვეთას ნიშნავს“.

მომდევნო დღეს, 23 სექტემბერს გავიდა სიუჟეტი „საქართველო საერთაშორისო სკანდალში“, რომელიც ამბობდა, რომ მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ირაკლი კობახიძემ და თეა წულუკიანმა ევროკავშირის ელჩი ჰარცელი იმ განცხადების გამო გააკრიტიკეს, რომ მეგობარი ქვეყნების ელჩებს მთავრობა და სუსი არ უნდა უსმენდეს, საქართველო დიპლომატიურ სკანდალში გაეხვა. „საქართველოს ელჩი ევროკავშირში ბრიუსელშია დაბარებული, ხოლო ოპოზიცია და უცხოელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საქართველო ანტიევროპულ და ანტიდასავლურ ძალად ჩამოყალიბდა და ქვეყნის იმიჯის აღდგენას ვედარც ის პოდკასტი უშველის, რომელიც ოცნებამ სპეციალურად ევროპული აუდიტორიისთვის ჩაწერა. ჰოლანდიელი ანალიტიკოსი აცხადებს, რომ საქართველომ უკვე წითელი ხაზები გადაკვეთა და ის ანტიდასავლურ სახელმწიფოდ ყალიბდება, ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობა უკვე ერთი წელია აღარ არის და რაც მარლ მიშელის დოკუმენტის ანულირებამ, ბელარუსის კგბ-თან დადებულმა ხელშეკრულებამ და მთელმა რიგმა ჩაგდებულმა რეფორმებმა გამოიწვია“. სიუჟეტი საკმაოდ ვრცელია, თითქმის 7 წუთს გრძელდება და მასში წარმოდგენილი რესპონდენტები განსხვავებულ შეფასებებს არ აკეთებენ.

ასევე, 24 სექტემბრის სიუჟეტში „შეტევა ევროკავშირის ელჩზე“ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაზე დასავლელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მოსაზრებებია წარმოდგენილი. „ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა პირდაპირ განაცხადა, რომ იმ მოვლენების შემდეგ, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ბოლო დროს მოხდა, სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ 2024 წელს საქართველო ევროკავშირის წევრობაზე აპირებს განაცხადის გაკეთებას. ბრიტანელი ექსპერტი და დევიდ კრამერი აცხადებენ, რომ თუკი აქამდე სანქციების საკითხი არ განიხილებოდა, ახლა შესაძლებელია საქართველოს წერტილოვანი სანქციები დაუწესდეს.“

არჩევნების მეორე ტურის წინა დღეს, 29 ოქტომბერს სიუჟეტში „საერთაშორისო შეფასება“ წარმოდგენილია დასავლელი ექსპერტისა და ესტონეთის ექსპრეზიდენტის განცხადება, რომ საქართველო ნელ-ნელა შორდება დასავლეთს და დასავლეთი სულ უფრო ნაკლებად ინტერესდება საქართველოს პერსპექტივით. ეს იმის გამო ხდება, რომ საქართველო თურქმენეთის გზას დაადგა, რაც დასავლელ ლიდერებს აფიქრებინებს, რომ ამ ქვეყნიდან არაფერი გამოვა. მისი თქმით, 14 წლის წინ საქართველოს მიმართ ჯერ კიდევ იყო რწმენა და იმედი, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გაფლანგა. ნატო არ დაიცავს არადემოკრატიულ ქვეყნას, შესაბამისად, საქართველოს არჩევნებზე აქვს არჩევანი, თუ საით წავა ის.

„ქართული ოცნების“ ანტიდასავლურობის ხაზგასმის პარალელურად, „მთავარ არხზე“ ცალკე ნარატიული ხაზი ეთმობოდა მისი პრორუსულობის წარმოჩენას, რაც ხშირად დასავლელი აქტორების, ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მოსაზრებებისა და განცხადებების გაშუქებით ხორციელდებოდა. ასეთ შემთხვევაში უცხოელი აქტორები ავტორიტეტულ და პროგრესულ პირებად იყვნენ წარმოჩენილნი. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო 21 აგვისტოს სიუჟეტი „თბილისის მოსკოვის ორბიტაზე - დიპლომატიების კრიტიკა“, რომელშიც გაშუქებული იყო აშშ-ის ყოფილი ელჩის იან კელისა და ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის მკვლევრის დევიდ კრამერის სტატია ჟურნალში „The Foreign Policy“ სათაურით „საქართველო ზურგს აქცევს დასავლეთს“, რომელშიც ისინი მმართველ გუნდს რიგი გადაწყვეტილებებისა და განცხადებების გამო აკრიტიკებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მოშლით „ქართული ოცნება“ თბილისის მოსკოვის ორბიტაზე აქცევდა. ეს იყო ვრცელი, თითქმის 8-წუთიანი სიუჟეტი, რომელშიც კელი და კრამერი განიხილავდნენ სერგეი გავრილოვის ვიზიტს, ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს, არჩევნებს, მელიასა და რურუას საქმეებს, მედიისა და სასამართლოს თავისუფლების საკითხს, შეთანხმების ანულირებას და სხვა მოვლენებს, როგორც მაგალითებს იმისა, რომ მმართველი გუნდი დასავლეთს აქცევს ზურგს და რუსეთისკენ ისწრაფვის. კელი და კრამერი განიხილავდნენ ბელარუსთან შეთანხმების ამოქმედებასაც და ამბობდნენ, „ქართული ოცნების სტანდარტებისთვისაც კი გამაოგნებელია“, რომ ეს არის შეთანხმება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ რეჟიმთან მაშინ, როცა ბელარუსის კვბ ცნობილია რუსულ ფსბ-თან ახლო კავშირით. მათი თქმით, ამგვარი დემოკრატიული უკუსვლის ფონზე, არის ნაბიჯები, რომლის გადადგმაც ვაშინგტონს შეუძლია და უნდა გადადგას. კერძოდ, თუ მმართველი გუნდი არ დაუბრუნდება შეთანხმებას, არ გააუქმებს ხელშეკრულებას ბელარუსთან, ბაიდენის ადმინისტრაციამ სანქციებზე უნდა იფიქროს.

„ქართულ ოცნების“ პრორუსულად წარმოჩენისთვის წინასაარჩევნო პერიოდში „მთავარ არხზე“ არაერთი სიუჟეტი გავიდა. მაგალითად, „რუსი ქილერები საქართველოში“ (29 აგვისტო), „რუსული აგენტურა საქართველოში“ (27 აგვისტო), „კრემლის პროპაგანდისტები თბილისში“ (27 აგვისტო). ამ სიუჟეტებში ქართული მმართველი გუნდი წარმოჩენილია ისე, თითქოს იგი არაფერს აკეთებს და ყურადღებას არ აქცევს კრემლის აგენტებისა და პროპაგანდისტების ყოფნას საქართველოში. მინიშნებები იმაზეც კეთდება, რომ „ქართული ოცნება“ მათთან შეიძლება, თანამშრომლობდეს კიდევ.

არჩევნების შემდეგ „მთავარი არხი“ ძირითადად მიხეილ სააკაშვილის თემას აშუქებდა და მათი რიტორიკა შემდეგი იყო: სააკაშვილი პუტინის ტყვეა და რუსეთი მას ივანიშვილის ხელით კლავს. ამ აზრს ატარებდა, მაგალითად, 27 ოქტომბრის სიუჟეტი „ხელისუფლების გეგმა“, რომლის მიხედვითაც სააკაშვილის ციხეში მკვლელობა პუტინის დაკვეთით იგეგმებოდა. სიუჟეტში აღწერილი იყო სააკაშვილის მიმართ ქცევა და მისი პირობები ციხეში, რასაც უცხოელი აქტორიც ადასტურებდა - უკრაინის სახალხო დამცველი, რომელიც მის მოსანახულებლად ჩამოვიდა და განაცხადა, რომ სააკაშვილის უფლებები ირღვევა და ის უკრაინაში დაბრუნების შემდეგ ევროპულ ელჩებსა და ევროპარლამენტარებს გაესაუბრება.

„მთავარმა არხმა“ დიდი დრო დაუთმო იმ ევროპარლამენტარების პოზიციების წარმოჩენასა და გზავნილების განხილვას, რომლებმაც სააკაშვილს დაუჭირეს მხარი და ამის ფონზე

ხელისუფლება და პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი, რომელმაც მართლაც მწვავედ გააკრიტიკა ევროპარლამენტარები, ანტიდასავლურ ძალებად იყვნენ წარმოჩენილნი. 18 ოქტომბრის სიუჟეტი „ევროპელი ლიდერების მხარდაჭერა“ ეხებოდა ევროპელი და ამერიკელი დიპლომატების, პოლიტიკოსებისა და ყოფილი პოლიტიკოსების წერილს, რომელშიც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვდნენ მანამდე, სანამ საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულება არ იქნებოდა. ისინი ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მაღალჩინოსნებსაც მოუწოდებდნენ ჩარევას. ეს წერილი, რომელიც იმ პერიოდისთვის ევროპარლამენტის ოფიციალურ მოსაზრებას არ წარმოადგენდა, სიუჟეტში წარმოდგენილი იყო ისე, რომ დასავლეთი ერთხმად უჭერს მხარს სააკაშვილს და „ქართული ოცნება“ მათ ეწინააღმდეგება. ამავე საკითხის გაგრძელება იყო 21 ოქტომბრის სიუჟეტი „ევროპარლამენტარების ახალი წერილი“, რომელშიც ხაზგასმული იყო ირაკლი ღარიბაშვილი მწვავე კრიტიკა: „არც ფოტიკა, არც არავინ, არც კუბილიუსი და არც არავინ, ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს არ წარმოადგენენ“, „ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას“, „ვინ არის საერთოდ ფოტიკა, რატომ ბედავენ ამდენს?!“

მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები ხშირად საერთაშორისო მედიის ყურადღებასა და უცხოელი პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების გამომხატურებებს ეხებოდა. გარე აქტორების გამოყენებით, როგორც წესი, სააკაშვილის პოზიტიურად წარმოჩენის მცდელობა იყო. მაგალითად, 1 ოქტომბრის სიუჟეტში „მიხეილ სააკაშვილი დააკავებს“ საუბარი იყო იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება, მოახდინოს სააკაშვილის დაკავებამ პოლიტიკურ პროცესებზე. ჟურნალისტი ამბობს, რომ უკრაინული რეაქცია უკვე სახეზეა: საქართველოს ელჩი უკრაინაში საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს ახსნა-განმარტებების გამო, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა და ის პროცესები, რაც თბილისში განვითარდა, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ზელენსკის საგარეო უწყებას. 2 ოქტომბრის სიუჟეტი კი ცდილობდა იმის ჩვენებას, რომ ამერიკულ მედიაში დიდი ადგილი უჭირავს სააკაშვილის დაკავების ფაქტის გაშუქებას. სააკაშვილი წარმოჩენილი იყო, როგორც გავლენიანი პოლიტიკოსი, რომლის დაკავებასაც ეხმაურება ამერიკული და ევროპული მედია, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და რომ მომავალში ეს გამომხატურებები კიდევ უფრო გაიზრდება.

არჩევნებთან კავშირში „მთავარ არხზე“ გაშუქებული იყო საერთაშორისო დამკვირვებლების მოლოდინები და შეფასებები და ხშირად ხაზგასმული მათი განცხადებების კრიტიკული ნაწილები, სადაც საუბარი იყო არჩევნების დარღვევებზე (3 ოქტომბერი). ჟურნალისტი გარე აქტორების გამოყენებით ხაზს უსვამდა მმართველი პარტიის არადემოკრატიულობას. მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მთავრობას დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენლების განცხადებები არ აინტერესებს, სამაგიეროდ, არჩევნებზე ბელარუსის და უგანდის წარმომადგენლები ჰყავს დამკვირვებლებად.


ტვ პირველი

„ტვ პირველზე“ თემატური მონიტორინგის პერიოდში სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სამი დღისა და ერთი საათის განმავლობაში შუქდებოდა არჩევნები, პოლიტიკა, პოლიტიკური/სახელისუფლებო სუბიექტების აქტივობები და ამ დროის მხოლოდ ექვსი პროცენტი (ყველაზე ნაკლები დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთი არხიდან) დაეთმო უცხოელ აქტორებზე საუბარსა თუ მათ წარმოჩენას (იხ. ცხრილი 1, დანართი 2).

სხვა არხების მსგავსად, აქაც ოთხი უცხოელი აქტორია, რომელიც ნახევარ საათზე მეტი დროის განმავლობაში შუქდებოდა: ევროკავშირი, რუსეთი, აშშ და უკრაინა (იხ. დიაგრამა 8). დანარჩენ უცხოელ აქტორებს 10 წუთზე ნაკლები დაეთმოთ. ევროკავშირისა და რუსეთის შემთხვევაში დათმობილი დრო დაახლოებით ერთი საათი იყო. ყველაზე ხშირად გაშუქებული ოთხეულის შემთხვევაში გაშუქების ტონი, სხვა არხების მსგავსად, უმეტესად ნეიტრალური იყო, რუსეთის შემთხვევაში კი - უმეტესად უარყოფითი (66%). რუსეთი „ტვ პირველზე“ წარმოდგენილი იყო, როგორც ოკუპანტი, აგრესორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საქართველოს მმართველ გუნდსა და ეკლესიაზე და საქართველოს ევროპულ გზაზე საფრთხეს წარმოადგენს. რიგ სიუჟეტებში „ქართულ ოცნებას“ „რუსულ ოცნებადაც“ მოიხსენიებდნენ და რუსულ ხელწერად აფასებდნენ მმართველი გუნდის ე.წ. „სიძულვილის კამპანიას“. 28 ოქტომბერს „ტვ პირველზე“ გავიდა სიუჟეტი, „ცოცხებით დადგმული სცენა ციხეში“, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ ცოცხით გაუპატიურების სცენა ციხეში, რომლის კადრებიც 2012 წლის არჩევნებამდე გავრცელდა და გავლენა მოახდინა ამომრჩეველზე, დადგმული იყო. სიუჟეტში ეს „რუსულ სპეცოპერაციად“ იყო შერაცხული.

დიაგრამა 8: „ტვ პირველზე“ უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო და მათი გაშუქების ტონი

უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) ტვ პირველი



გარდა ამისა, „მთავარი არხის“ მსგავსად, „ტვ პირველზეც“ გავიდა სიუჟეტები რუს აგენტებსა და „სიკვდილის ბრიგადებზე“, რომელთა საქართველოში შემოსვლასა და მოქმედებას ხელისუფლება ხელს არ უშლიდა. ამის მაგალითები იყო 27 აგვისტოს სიუჟეტი „პუტინის სიკვდილის ბრიგადები საქართველოში“, ასევე, 28 აგვისტოს სიუჟეტი „რუსეთის დაზვერვის ოფიცერი საქართველოში“, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო საქართველოს უსაფრთხოების სამსახური და მმართველი გუნდი, რომლებიც არ ან ვერ მუშაობენ, ან სულაც „რუსეთიდან იმართებიან“. ჟურნალისტის ტექსტი 28 აგვისტოს სიუჟეტიდან: „დაუცველი სახელმწიფო საზღვრები, დასუსტებული უსაფრთხოების სამსახური და გაძლიერებული რუსული აგენტურა. განსაკუთრებული სისასტიკით ცნობილი დაჯგუფების ქილერი ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა, მაგრამ სუს-მა ვერაფერი გაიგო, ან გაიგო, მაგრამ არგალიზიანების პოლიტიკას ერთგულად ატარებს. არ სცალია ჯაშუშებისთვის და მხოლოდ ოპოზიციის თვალთვალითაა დაკავებული.“

„მთავარი არხის“ მსგავსად, „ტვ პირველზეც“ ბელარუსის გაშუქების დიდი წილი (42%) უარყოფითი ტონით შეფასდა და, „მთავარი არხის“ მსგავსად, საქართველო-ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურების შეთანხმებასა და ბელარუს დამკვირვებლებს უკავშირდებოდა.

ეს ყოველივე ემსახურებოდა „ტვ პირველის“ მიზანს, რომ, „მთავარი არხის“ მსგავსად, „ქართული ოცნება“ რუსეთის პოლიტიკის გამტარებლად და პრორუსულ ძალად წარმოეჩინა. უკვე აღნიშნულის გარდა, ამის მაგალითებია: 6 აგვისტოს სიუჟეტი „სწრაფი სვლით რუსეთისკენ“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ურთიერთობების დალაგებისთვის მზად არის და თითქმის იდენტური პოზიცია აქვს საქართველოს ხელისუფლებასაც, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც კრემლის არგალიზიანების პოლიტიკის გამტარებელი ძალა, რომელიც რუსეთის მიერ ურთიერთობების აღდგენის შემოთავაზებაზე უარს არ ამბობს; 8 აგვისტოს სიუჟეტი „ქართული ოცნების პრორუსული გზავნილები“, რომელიც ამბობდა, რომ პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა აგვისტოს იმის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა: „ღარიბაშვილმა დღეს ომში დაღუპული გმირების მემორიალთან საუბრის დიდი დრო არა რუსულ ოკუპაციას, არამედ წინა ხელისუფლებას დაუთმო“; 3 აგვისტოს სიუჟეტი „პატრიოტთა ალიანსის ლიდერების მიმართვა პუტინს“, რომელშიც საუბარი იყო „პატრიოტთა ალიანსის“ წერილზე რუსეთის პრეზიდენტისადმი სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადების თხოვნით. სიუჟეტში გაკრიტიკებული იყო ეს პარტია, მაგრამ ასევე გაკრიტიკებული იყო „ქართული ოცნებაც“, რადგან, სიუჟეტის მიხედვით, „პატრიოტთა ალიანსი“ მათ სატელიტ პარტიას წარმოადგენდა. 4 სექტემბერს შაბათის გადაცემაში გავიდა 24-წუთიანი სიუჟეტი იმაზე, რომ აგვისტოს ომის პერიოდში ბიძინა ივანიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში რუსეთის საელჩოს ყოფილ წარმომადგენლებთან. სიუჟეტის მიხედვით, ივანიშვილი ამ ახლობლობას იმისთვის იყენებდა, რომ თავისი გარემოცვისთვის რუსეთის ვიზები ეშოვნა და ომის შემდეგ რუსეთში წასულიყო. სიუჟეტის მთავარი მიზანი იყო, ეჩვენებინა, თუ ვინ დგას ივანიშვილის უკან, რომ იგი ომის დროსაც არ წყვეტდა ოკუპანტებთან ურთიერთობას და დიდი გავლენა ჰქონდა საელჩოს წარმომადგენლებზე.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ „ტვ პირველის“ სარედაქციო პოლიტიკა უცხოელი აქტორების გაშუქებისა და მათი გამოყენების მიზნების მხრივ ძალიან ჰგავს „მთავარი არხისას“. მათ მიერ დასმული აქცენტები და სიუჟეტის თემები ერთმანეთის მსგავსია. „ტვ პირველიც“ დასავლეთს და დასავლელ პარტნიორებს იყენებს საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველი

გუნდის ანტიდასავლურობის საჩვენებლად და იმ განცდის შესაქმნელად, რომ ამ კურსის გატარება ქვეყანას სანქციებამდე მიიყვანს და დასავლელ პარტნიორებს დააკარგვინებს. მაგალითად, 4 აგვისტოს სიუჟეტი „დასავლეთის უარი ღარიბაშვილს“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს ვიზიტზე უარი უთხრეს. ამის მიზეზად შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირება და 5 ივლისის მოვლენები იყო დასახელებული. სიუჟეტის ერთადერთი წყარო, „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივნის მოადგილე, ვითარებას მძაფრად აღწერდა: „ჩვენ მივედით მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრი არის ნონ-გრატა და არასასურველი პიროვნება საქართველოს ყველაზე ახლობელ, ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეებში“. ასევე, 5 აგვისტოს სიუჟეტი „ევროკომისიის კრიტიკული ანგარიში“, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას აკრიტიკებდა; 8 სექტემბრის სიუჟეტი „დასავლეთი vs ქართული ოცნება“, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დასავლეთმა ხელისუფლების მიერ გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილებაზე უარის თქმა უკან გადადგმულ ნაბიჯად და დაკარგულ შესაძლებლობად შეაფასა. მმართველი გუნდი წარმოდგენილი იყო, როგორც დასავლეთის წინააღმდეგ წამსვლელი ძალა, რომელიც პარტნიორების აზრს არ ითვალისწინებს.

24 აგვისტოს სიუჟეტში „მიშელმა ღარიბაშვილი გააფრთხილა“ საუბარი იყო უკრაინაში ირაკლი ღარიბაშვილისა და შარლ მიშელის გაფრთხილებაზე, რის შემდეგაც მიშელმა ტვიტერზე პოსტი გაავრცელა. სიუჟეტის ავტორები ამ პოსტს „უმკაცრეს გაფრთხილებად“ აღიქვავდნენ „ქართული ოცნების“ მიმართ, რადგანაც მათ 19 აპრილის შეთანხმება დაარღვიეს. სიუჟეტი ამ ხაზს მიყვებოდა და ამას ამყარებდა ოპოზიციის განცხადებებიც, რომ ეს იყო ივანიშვილის მთავრობისთვის ნაჩვენები „ყვითელი ბარათი“ და შესაძლოა, ევროკავშირის საქართველოს ფინანსურ დახმარებაზე უარი ეთქვა. საინტერესო ის იყო, რომ ამ სიუჟეტში თავად ამ „უმკაცრესი გაფრთხილების“ ტექსტი წარმოდგენილი არ იყო.

1 სექტემბერს გასული სიუჟეტი „ღარიბაშვილის თავდასხმა ევროკავშირზე“ ამყარებს „ტვ პირველის“ რიტორიკას, რომ ხელისუფლებას ევროკავშირთან ურთიერთობა დაეძაბა. სიუჟეტის მიხედვით, მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირის დახმარებაზე, მთავრობის თქმით კი, ევროკავშირის სესხზე უარი თქვა, პოლიტიკურ სპექტრში ურთიერთბრალდებები ისმის. „ტვ პირველის“ ჟურნალისტი პირდაპირ ამბობს, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ევროკავშირთან საქართველოს მთავრობის ასეთი კონფრონტაციული ტონი, კერძოდ, ღარიბაშვილმა ევროპარლამენტარზე თქვა, რომ ის მისი უფროსი არარის. ევროპარლამენტარები საქართველოს მთავრობის ამ ტონს ეხმაურებიან და ამბობენ, რომ საქართველო ამ გზით რუსეთისკენ მიდის და რომ ეს კონფრონტაცია არ არგებს ევროინტეგრაციას. მათი თქმით, ამ პროცესით მხოლოდ რუსეთია გამარჯვებული. იმავეს იმეორებს ოპოზიციაც. მათი თქმით, ევროკავშირთან ასეთი ტონით საუბარს მყისიერად მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა, რომელიც საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე აღაპარაკდა. სიუჟეტის პათოსი შემდეგია, რომ საქართველოს მთავრობამ გადაუხვია ევროპულ კურსს და ის ნელ-ნელა რუსეთისკენ მიექანება.

არჩევნების შემდეგ „ტვ პირველზე“ გავიდა სიუჟეტები, რომლებიც არჩევნების გაყალბებაზე და ხელისუფლების მიერ დასავლური კურსიდან გადახვევაზე მიუთითებდა. მაგალითად, 4 ოქტომბრის სიუჟეტი „დამკვირვებლების უმწვავესი შეფასება“, სადაც აქცენტი აშშ-ის

ელჩისა და ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებების კრიტიკულ ნაწილებზე იყო გადატანილი. ასევე, 5 ოქტომბრის სიუჟეტი „ქართული ოცნება დასავლეთის წინააღმდეგ“, სადაც წარმოდგენილი იყო სენატორ ჯიმ რიშის გამომხაურება არჩევნების ჩატარებაზე და მისი იმედგაცრუება, რომ ეს არჩევნები დრამატულად განსხვავდებოდა 2012 წლის არჩევნებისგან და იგი შეწუხებული იყო ადამიანების დაშინებისა და ხმების მოსყიდვის შესახებ ცნობებით. სიუჟეტში გადმოცემული იყო, რომ ამერიკელი სენატორის მწვავე შეფასებას კრიტიკა მოჰყვა მმართველ გუნდში და ირაკლი კობახიძე და არჩილ თალაკვაძე ერთხმად აცხადებდნენ, რომ სენატორი რიში შეცდომაში იყო შეყვანილი. ამავე სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ დასავლეთის კრიტიკა ხელისუფლებას არამხოლოდ არჩევნების, არამედ მიხეილ სააკაშვილის დაკავების გამოც დაატყდა თავს და მაგალითად იყო მოყვანილი ევროპარლამენტარისა და რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩის განცხადებები.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, „მთავარი არხის“ მსგავსად, „ტვ პირველზეც“ გახშირდა სიუჟეტები მიხეილ სააკაშვილის შესახებ. შესაბამისად, აქტუალური იყო უკრაინის, უკრაინელი დეპუტატებისა და ანალიტიკოსების გაშუქება. „ტვ პირველი“ ინტერვიუს ძირითადად მიხეილ სააკაშვილს მხარდამჭერ უკრაინელ პირებს ართმევდა, რომლებიც ღიად აცხადებდნენ, რომ სააკაშვილი მსოფლიო დონის პოლიტიკოსი იყო, რომ საქართველო ერთ ადგილზე იყო გაჩერებული და მმართველი პარტია ამუხრუჭებდა მის განვითარებას, რომ დაკავების შემთხვევაში ფეხზე დადგებოდა საერთაშორისო თანამეგობრობა და ქართველი ხალხი. ასევე ხშირი იყო სააკაშვილის დაკავების, როგორც რუსული პოლიტიკის გატარება „ქართული ოცნების“ მხრიდან.

დასკვნა

თემატური მონიტორინგის პერიოდში (3 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით) დაკვირვების ქვეშ მყოფ ხუთ არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „იმედი“, „რუსთავი 2“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ გამოიკვეთა ოთხი უცხოელი აქტორი, რომლებსაც ყველაზე ხშირად აშუქებდნენ: ევროკავშირი, აშშ, რუსეთი და უკრაინა, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მხოლოდ „მთავარ არხზე“ ვერ მოხვდა. საინტერესოა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც ყველაზე დაბალანსებული და ნეიტრალური გაშუქებით გამოირჩეოდა, უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დროის გადანაწილებაში ნაკლები კონტრასტები შეინიშნება, ვიდრე, ვთქვათ, „იმედზე“, სადაც ევროკავშირს ყველა სხვა სუბიექტთან შედარებით მეტი დრო (მომდევნო სუბიექტთან შედარებით თითქმის ერთი საათით მეტი) დაეთმო, ან „მთავარ არხზე“, სადაც ევროკავშირი და რუსეთი გამოკვეთილად ხშირად იყო გაშუქებული სხვა უცხოელ აქტორებთან შედარებით.

საინტერესო იყო უკრაინის მოხვედრა ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორების პირველ ოთხეულში, რაც უმეტესად მიხეილ სააკაშვილს უკავშირდებოდა. რიგ სიუჟეტებში იგი უკრაინის სახელმწიფო მოხელედ იყო წარმოდგენილი, ხოლო სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლისა და მისი დაკავების შემდეგ გახშირდა სიუჟეტები, სადაც უკრაინის ოფიციალური პირები ამასთან დაკავშირებით განცხადებებს აკეთებდნენ. უკრაინა ასევე გაშუქებული იყო

ერთობლივი სამხედრო წვრთნების, აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტის, პრემიერმინისტრის უკრაინაში ვიზიტის თემებთან კავშირშიც.

გაშუქების ტონის მხრივ არხებზე მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა. დასავლელი აქტორები უმეტესად ნეიტრალურად და მათი შედარებით მცირე ნაწილი დადებითი ტონით იყო გაშუქებული, რუსეთი კი - უარყოფითად ყველა არხზე, დათმობილი დროის 60%-ზე მეტის შემთხვევაში.

2020 წლის თემატური მონიტორინგის შედეგების მსგავსად, გამოიკვეთა, რომ ევროკავშირს, აშშ-სა და სხვა დასავლელ აქტორებს ყველა არხი მნიშვნელოვან და ავტორიტეტულ ფიგურად წარმოაჩენდა. თუმცა, განსხვავებული იყო ის მხარე, რომელთან კავშირშიც ამ აქტორებს არხები აყენებდნენ. მაგალითად, ევროკავშირთან კარგი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხაზგასმა, ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ გამოხატული მხარდაჭერის დაფიქსირება ან პირიქით, საფრთხე ამ პარტნიორობის დაკარგვისა, სწორედ ის აქცენტები იყო, რაშიც არხების პოლიტიკური მიკერძოება გამოიხატებოდა. თუკი „იმედი“ და შედარებით ნაკლები ინტენსივობით „რუსთავი 2“ ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ საქართველოს მმართველი ხელისუფლება ევროკავშირსა და დასავლეთში აღიარებული და პატივცემული პარტნიორია, რომელსაც ღონისძიებებზეც იწვევენ და მხარდაჭერასაც უცხადებენ, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ იმაზე იყვნენ მომართულნი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ანტიდასავლურობა დაემტკიცებინათ. ამ მიზნის მისაღწევად სიუჟეტებში უცხოელი აქტორების წარმოჩენასთან ერთად მნიშვნელოვანია წყაროების ბალანსის გაანალიზებაც, რადგან ხშირად ან მხოლოდ ისეთი რესპონდენტები იყვნენ წარმოდგენილნი, ვინც შესაბამის მოსაზრებებს ავითარებდა, ან ერთი და იგივე პირების განცხადებების სხვადასხვა ნაწილზე კეთდებოდა აქცენტი და ინტერპრეტაცია ჟურნალისტები მიერ.

ამ ტენდენციით აიხსნება რიგი საკითხების გაშუქება განსხვავებული ინტერპრეტაციითა და საკითხის სხვადასხვა მხარეზე ყურადღების გამახვილებით. მაგალითად, საქართველოსა და ბელარუსის უსაფრთხოების სამსახურებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ძალაში შესვლა, რომელიც „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან გაშუქდა, როგორც არადემოკრატიული და უკან გადადგმული ნაბიჯი, რაც რუსეთთან დაახლოებაზე მეტყველებდა, ხოლო „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მსგავსი შეთანხმება ბელარუსსაც და საქართველოსაც ბევრ სხვა, მათ შორის ევროპულ ქვეყანასთან აქვს. ასევე, ავღანეთიდან ქართველების ევაკუაციის საკითხის გაშუქება. თუკი „იმედი“ და „რუსთავი 2“ საქართველოს საგარეო უწყების საქმიანობის წარმატებაზე აპელირებდნენ, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ავღანეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები სხვა ქვეყნების დახმარების იმედად იყვნენ დარჩენილნი და საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით ვერაფერს აკეთებდა.

განსხვავებული უკრაინაში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის გაშუქების მოცულობა და აქცენტები. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ გასულ სიუჟეტებში საქართველოსა და უკრაინის საერთო ღირებულებებსა და მისწრაფებებზე კეთდებოდა აქცენტი, იმაზე, რომ ორივე ქვეყნის მიზანი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება და დეოკუპაციისთვის ბრძოლაა. უკრაინა ნახსენები იყო, როგორც საქართველოს გამორჩეული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა. მეორეს მხრივ, „მთავარმა არხმა“ და „ტვ

პირველმა“ ყურადღება უკრაინაში ღარიბაშვილისა და შარლ მიშელის არაფორმალურ შეხვედრაზე გაამახვილეს, უფრო სწორად კი შარლ მიშელის ტვიტერის პოსტზე, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს მთავრობის მკაცრი გაფრთხილება, რომ თუკი 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები არ შესრულდებოდა, საქართველო ევროკავშირის დახმარების გარეშე დარჩებოდა.

განსხვავებული გაშუქების კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო ჟურნალში The Foreign Policy საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის იან კელისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის დევიდ კრამერის სტატიის გაშუქება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებდა. „მთავარმა არხმა“ ეს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ანტიდასავლურობის საჩვენებლად გამოიყენა და ფართოდ გააშუქა ის არგუმენტები, რასაც უცხოელი დიპლომატების კრიტიკა ეფუძნებოდა და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სტატია აშშ-ის პრეზიდენტს სანქციებისკენაც მოუწოდებდა, თუკი საქართველო გარკვეულ ნაბიჯებს არ გადადგამდა. „იმედიც“ გამოეხმაურა სტატიას და შეეცადა, კელი-კრამერის პოზიცია ორი ადამიანის ნააზრევად წარმოეჩინა და ხაზი გაესვა, რომ ეს აშშ-ის მთავრობის პოზიცია არ არის და თანხვედრაშია „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივთან.

ეს ტენდენცია 2020 წლის თემატური მონიტორინგის დროსაც გამოვლინდა და კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა 2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდში. თუკი ევროკავშირისა და სხვა დასავლელი პარტნიორების შემთხვევაში არხები მათ ავტორიტეტსა და მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რუსეთის შემთხვევაში გაშუქება ყველა არხზე მკვეთრად უარყოფითი იყო. რუსეთი წარმოჩნდებოდა, როგორც „მტერი“, „ოკუპანტი“ და „აგრესორი“. რუსეთთან კავშირის ქონა არადემოკრატიულობასთან ასოცირდებოდა და ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანოდ აღიქმებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არხები საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით ან მმართველი გუნდის რუსეთთან კავშირებზე საუბრობდნენ, ან - ოპოზიციის.

რუსეთის შემთხვევაში საინტერესო დაკვირვება იყო, რომ არცერთ არხზე იგი უმეტესად წარმოდგენილი არ იყო, როგორც პირდაპირი აქტორი, რომელიც რაიმე განცხადებას გააკეთებდა არჩევნებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით. თუმცა, რუსეთის საკითხი პოლიტიკური ბრძოლისა და დისკრედიტაციის იარაღად იყო გამოყენებული და მისი ხსენება არჩევნებსა და პოლიტიკასთან კავშირში ძალიან ხშირად ხდებოდა.

რუსეთთან კავშირებსა და რუსეთის გავლენებზე საუბარი სიუჟეტებში გარკვეულწილად წინასაარჩევნო პერიოდში ამ უცხოელი აქტორის ჩარევაზე მიანიშნებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ოპოზიციურად განწყობილი არხების სიუჟეტები რუსი აგენტებისა და პროპაგანდისტების საქართველოში ვიზიტების შესახებ, სიუჟეტები ფონდი „ქართუს“ მიერ კრემლის პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციის „რუსული კლუბის“ დაფინანსებაზე, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდაზე. აგვისტოში გაშუქდა „პატრიოტთა ალიანსის“ წერილი რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მისამართით, რაც აძლიერებდა ეჭვებს, რომ არჩევნებში მონაწილე ამ პარტიას რუსეთთან გარკვეული კავშირი ჰქონდა. საკუთარ კომენტარებსა და განცხადებებში საქართველოში მოღვაწე უცხოელი დიპლომატები და არჩევნების დამკვირვებლები ახსენებდნენ წინასაარჩევნოდ რუსული პროპაგანდის საფრთხეებს.

რაც შეეხება სხვა უცხოელ აქტორებს, წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით კი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განშირდა ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებები და მოწოდებები, რაც ხელისუფლების მხრიდან ჩარევად აღიქმებოდა და ამისი გაშუქებაც არხების სარედაქციო მიკერძოებულობის შესაბამისად ხდებოდა. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადებას საქართველოს მმართველი პარტიის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ ეს განცხადებები დიპლომატიის ფარგლებს სცდებოდა. კიდევ უფრო მკაცრი იყო პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი ევროპარლამენტარებისა და დასავლელი დიპლომატების წერილებთან დაკავშირებით, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვდნენ ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევამდე - „არც ფოტიგა, არც არავინ, არც კუბილიუსი და არც არავინ, ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს არ წარმოადგენენ“, „ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას“, „ვინ არის საერთოდ ფოტიგა, რატომ ბედავენ ამდენს?!“

დანართი 1: მეთოდოლოგია

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქების კვლევა მედიაში“, CRRC-საქართველომ სატელევიზიო არხების თემატურ მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი მოიცავდა სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ხუთ სატელევიზიო არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“. თემატური მონიტორინგის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ როგორ აღიქვამდა სატელევიზიო მედია უცხოურ გავლენებს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე. ასევე, იმაზე დაკვირვება, წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში რომელი უცხოელი აქტორები გაშუქდნენ ყველაზე ხშირად და როგორ.

მონიტორინგი დაიწყო 2021 წლის 3 აგვისტოს და გაგრძელდა 30 ოქტომბრის ჩათვლით. ეს პერიოდი მოიცავდა წინასაარჩევნო პერიოდის ყველაზე აქტიურ პერიოდს, ორ თვეს არჩევნების დღემდე, და შემდგომში არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის მონაკვეთს. მონიტორინგი მოიცავდა სიუჟეტებს არჩევნებისა და პოლიტიკის თემაზე, ასევე, ნებისმიერ სხვა თემაზე მომზადებულ სიუჟეტს, სადაც საარჩევნო სუბიექტები და ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ გაშუქებული. სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების დროს, როცა არხები რამდენიმე საათიან უწყვეტ ეთერს ამზადებდნენ, პირდაპირი გადმოცემითა და სტუდიაში პერიოდული ჩართვებით, მონიტორინგი დაკვირვებას ორი საათის განმავლობაში აწარმოებდა.

2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე უცხოური გავლენების აღქმის შესასწავლად, თემატური მონიტორინგი კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს იყენებდა. რაოდენობრივი კომპონენტის ნაწილში ითვლიდა უცხოელი აქტორებისთვის დათმობილ დროს, მათ პირდაპირ წარმოჩენას (იმის მიუხედავად, რომ, როგორც წესი, მათ ეს მათ პირდაპირ საუბარს არ წარმოადგენდა და მათ ხმას უმეტესად თარგმანი ჰქონდა დადებული) თუ მათზე საუბარს, ასევე გაშუქების ტონს. ტონი ფასდებოდა სამბალიანი სკალით: დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი, და ითვალისწინებდა როგორც საკუთრივ ინფორმაციას, ასევე კონტექსტს. უცხოელ აქტორად ითვლებოდა უცხო ქვეყნის ყველა ოფიციალური და არაოფიციალური წარმომადგენელი, ორგანიზაცია თუ პირი. ქვემოთ მოცემულია მონიტორინგის სუბიექტების, უცხოელი აქტორების, სრული სია, რომელიც 2020 წლის თემატური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შევადგინეთ.

თვისებრივი კომპონენტის ნაწილში მონიტორინგი აკვირდებოდა ახალ ამბებში უცხოელი აქტორების გაშუქების მიზანსა და ხასიათს; აფასებდა სიუჟეტებში წყაროების ბალანსს, აკვირდებოდა ჟურნალისტების ტექსტებს (შესავალსა თუ შეჯამებას), აუდიო თუ ვიდეო მანიპულაციის შემთხვევებს, და ამ ცვლადების გამოყენებითა და სიუჟეტზე ზოგადი დაკვირვებით ცდილობდა, ეპასუხა შემდეგი კითხვებისთვის:

- რამდენად ხდება სიუჟეტებში უცხოელი აქტორების მიერ ქართული პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების მხარდაჭერა ან დისკრედიტაცია?

- რამდენად ხდება სიუჟეტებში უცხოელი აქტორების მიერ ქართული პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების, მხარდაჭერა ან დისკრედიტაცია?
- როგორია სიუჟეტებში უცხოელი აქტორების გაშუქების მიზანი?

თემატური მონიტორინგის სუბიექტებს, რაოდენობრივი თუ თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, მათი სრული დასახელებით/სიუჟეტში მოხსენიების ფორმით ვინიშნავდით. თუმცა, შემდეგ ხდებოდა მათი განაწილება წინასწარ შემუშავებულ კატეგორიებში ქვეყნის/გაერთიანების/საერთაშორისო ორგანიზაციისა და სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტატუსის მიხედვით.

თემატური მონიტორინგის სუბიექტების სია

#	სუბიექტები (საქართველოს მუნიციპალურ არჩევნებზე უცხოური გავლენების აღქმა მედიაში, 2021)
1	NDI ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი
2	IRI საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
3	NATO
4	გაერო
5	UNDP გაეროს განვითარების პროგრამა
6	UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდი
7	USAID აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
8	OSCE ეუთო
9	World Bank მსოფლიო ბანკი
10	WHO მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (ჯანმო)
11	საერთაშორისო დამკვირვებლები (დასავლური ქვეყნებიდან/გაერთიანებულებიდან)
12	უცხოური კვლევითი ორგანიზაციები (დასავლური ქვეყნებიდან)
13	საერთაშორისო სასამართლო
14	წითელი ჯვარი
15	აშშ (სახელმწიფო)
16	აშშ (არასახელმწიფო)
17	აშშ (გაურკვეველი)
18	ევროკავშირი
19	ევროსაბჭო (აქვე ვენეციის კომისია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა)
20	რუსეთი (სახელმწიფო)
21	რუსეთი (არასახელმწიფო)
22	რუსეთი (გაურკვეველი)
23	გერმანია (სახელმწიფო)
24	გერმანია (არასახელმწიფო)
25	გერმანია (გაურკვეველი)
26	დიდი ბრიტანეთი (სახელმწიფო)
27	დიდი ბრიტანეთი (არასახელმწიფო)
28	დიდი ბრიტანეთი (გაურკვეველი)
29	თურქეთი (სახელმწიფო)
30	თურქეთი (არასახელმწიფო)
31	თურქეთი (გაურკვეველი)
32	სომხეთი (სახელმწიფო)
33	სომხეთი (არასახელმწიფო)
34	სომხეთი (გაურკვეველი)
35	აზერბაიჯანი (სახელმწიფო)
36	აზერბაიჯანი (არასახელმწიფო)
37	აზერბაიჯანი (გაურკვეველი)
38	საფრანგეთი (სახელმწიფო)
39	საფრანგეთი (არასახელმწიფო)

40	უკრაინა (სახელმწიფო)
41	უკრაინა (არასახელმწიფო)
42	უკრაინა (გაურკვეველი)
43	ბელარუსი (სახელმწიფო)
44	ბელარუსი (არასახელმწიფო)
45	ისრაელი (სახელმწიფო)
46	ისრაელი (არასახელმწიფო)
47	იაპონია (სახელმწიფო)
48	იაპონია (არასახელმწიფო)
49	ირანი (სახელმწიფო)
50	ირანი (არასახელმწიფო)
51	ირლანდია (სახელმწიფო)
52	ირლანდია (არასახელმწიფო)
53	იტალია (სახელმწიფო)
54	იტალია (არასახელმწიფო)
55	კოსოვო (სახელმწიფო)
56	კოსოვო (არასახელმწიფო)
57	ბალტიისპირეთის ქვეყნები (სახელმწიფო)
58	ბალტიისპირეთის ქვეყნები (არასახელმწიფო)
59	ევროპა (ზოგადი)
60	დასავლეთი (ზოგადი)
61	აზია/ევრაზია (ზოგადი)
62	სხვა უცხოელი სუბიექტი
63	მოლდოვა (სახელმწიფო)
64	მოლდოვა (არასახელმწიფო)
65	საბერძნეთი (სახელმწიფო)
66	საბერძნეთი (არასახელმწიფო)
67	შვეიცარია (სახელმწიფო)
68	შვეიცარია (არასახელმწიფო)
69	ჩინეთი (სახელმწიფო)
70	ჩინეთი (არასახელმწიფო)
71	საერთაშორისო დამკვირვებლები (სხვა)
72	უცხოური კვლევითი ორგანიზაციები (სხვა)
73	ინტერპოლი
74	პრიმაკოვის ფონდი (პრიმაკოვის ქართულ-რუსული საჯარო ცენტრი)
75	ავღანეთი (სახელმწიფო)
76	ავღანეთი (არასახელმწიფო)
77	ბოსნია-ჰერცეგოვინა (სახელმწიფო)
78	ბოსნია-ჰერცეგოვინა (არასახელმწიფო)
79	მოტლანდია (სახელმწიფო)
80	მოტლანდია (არასახელმწიფო)

დანართი 2: ცხრილები

ცხრილი 1: არჩევნების, პოლიტიკისა და პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, უცხოელი აქტორების გაშუქების წილი (3 აგვისტო - 30 ოქტომბერი, 2021 წ.)

	სიუჟეტების საერთო დრო (წმ)	სიუჟეტების საერთო დრო (სთ:წთ:წმ)	უცხოელი აქტორების გაშუქებისთვის დათმობილი დრო (წმ)	უცხოელი აქტორების გაშუქების წილი %
საზ. მაუწყებლის პირველი არხი	229346	2 დღე 15:42:26	29027	13
„იმედი“	277436	3 დღე 05:03:56	28042	10
„რუსთავი 2“	201563	2 დღე 07:59:23	23240	12
„მთავარი არხი“	315665	3 დღე 15:41:05	31762	10
„ტვ პირველი“	263675	3 დღე 01:14:35	15957	6

